ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

შაბათი – კვირა, 9 – 10 ივნისი, 2018

№135 (7680)

ფასი: 50 თეთრი

გვ.2

„QET-ის ქართულ ოფისს ეკა ბესელიას ოჯახის წევრები მართავენ“

8 ივნისიდან

ევგენი ვოდოლაზკინი

ლავროსი

სერია თანამედროვე რუსული ბესტსელერი

ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი

გიორგი მარგველაშვილი: „კვირიკაშვილი დარჩეს, წულუკიანი გადადგეს“

გვ.3

გვ.3

მექა ხანგოშვილი: „მალხაზ მაჩალიკაშვილსა და ზაზა სარალიძეს შორის შუღლის ჩამოგდებას ცდილობენ“

გვ.2

სერგი კაპანაძე: „ნებისმიერ ადამიანს დავკითხავთ, ვისაც საჭიროდ ჩავთვლით“

გვ.3

გვ.4

ხელისუფლება პირდაპირ გვეხვეწება, დამამხეო

სამართალი გვ.7

შსს-ს მიერ დაკავებული მერაბ მორჩაძე ამავე საქმეზე ერთ-ერთი ბრალდებულის ნათესავია



მირზა სუბელიანმა შსს მრავალსაათიანი გამოკითხვის შემდეგ დატოვა

ზაზა სარალიძე: „მქონდა იმედი, რომ გონს მოვიდოდნენ და მირზა სუბელიანს ბრალდებას წაუყენებდნენ“

სერგი კაპანაძე: „არავის ჰქონდეს ილუზია, რომ როგორმე გააჭიანურებს საგამოძიებო კომისიის მუშაობას“

ავარია მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე — დაშავებულია 4 ადამიანი

ეკონომიკა გვ.6

გუდაური სამჯერ გაიზრდება

ინფლაცია 20 ლარით გაზრდილ პენსიასაც „შეჭამს“

2019-2020 წლებში მთავრობა პენსიების გაზრდას გეგმავს



ISSN 1987-9385

5 გიორგი ბახტურიძე: „500-მდე შემოწმებული ობიექტიდან 92 პროცენტი თამბაქოს მოწევის აკრძალვის მოთხოვნას იცავს“

6 100 ათას ლარამდე ნივთის განვადებისას ფასის უცხოურ ვალუტაზე მიბმა დასჯადი ხდება

5 „ამცახარა“: „აფხაზეთის ქართველების მიმართ საშიში ავანტიურისტული პოლიტიკა ხორციელდება“

6 პაციენტს, რომელსაც ექიმი 5 და მეტ მედიკამენტს დაუნიშნავს, დანიშნულების გადამოწმების საშუალება ეძლევა

მექა ხანგოშვილი: „მალხაზ მაჩალიკაშვილსა და ზაზა სარალიძეს შორის შუღლის ჩამოგდებას ცდილობენ“

„მთელი ხეობა ელოდება, როდის გამოიძიებენ თემირლანის საქმეს“

შორენა მარსაგიშვილი

ამ დღეებში ახალგაზრდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ გახალვეული ძაღები ზაზა სარალიძის წინააღმდეგ პროვოკაციას გეგმავენ. იყო საუბარი იმაზეც, რომ სპეცსამსახურები მის გატაცებას აპირებდნენ. ექსპერტ მამეკა ახალშიძის ინფორმაციით, იგეგმება პროვოკაცია, რომ სარალიძის გატაცება პანკისელებს დააბრალონ.

ამ ინფორმაციას პანკისში სერიოზული გამოხმაურება მოჰყვა. პანკისელები ფიქრობენ, რომ ამ ინფორმაციის გავრცელებით ვიღაცებს ზაზა სარალიძესა და მალხაზ მაჩალიკაშვილს შორის განხეთქილების ჩამოგდება სურთ. მოგეხსენებათ, რომ შვილმოკლული მამები ერთად ითხოვენ სამართლიანობის აღდგენას.

რას ფიქრობენ ამ ჭორებზე პანკისში, რას სთხოვენ ისინი ხელისუფლებას, არის თუ არა ხეობაში პროვოკაციები მოსალოდნელი? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ პანკისელი ქისტების წარმომადგენელი მექა ხანგოშვილი ესაუბრება.

მექა ხანგოშვილი:

– პანკისის ხეობის მოსახლეობისთვის სულერთი არაა ის აქციები, რომლებიც თბილისში მიმდინარეობს. ისინი არც ერთ პოლიტიკურ ძალას არ უჭერენ მხარს, ისინი მხოლოდ სამართლიანობის აღდგენას ითხოვენ და მიაჩნიათ, რომ თემირლან მაჩალიკაშვილის საქმე აუცილებლად უნდა იქნას გამოძიებული.

ჩვენ ყველანი ვხედავთ, როგორ ჭირს სიმართლის დადგენა სხვადასხვა საქმეებზე. ამას ხედავენ ქისტებიც. მათ უწნდებათ განცდა, რომ თემირლანის მკვლელებს არ დასჯიან, მაგრამ იმედი მაინც აქვთ.

– რისი იმედი აქვთ?

– იმის, რომ ადრე თუ გვიან თემირლანის საქმეს გამოიძიებენ და ყველაფერს ნათელი მოეფინება. ვიდრე ეს შედეგი არ დადგება, მანამდე პანკისის მოსახლეობა ვერ მოისვენებს – მაჩალიკაშვილების ამბავს ყველა განიცდის.

ხეობაში და მთლიანად საქართველოში ყველამ კარგად იცის, რომ სპეცოპერაციისას უხეშად დაირღვა თემირლანის და მისი ოჯახის წევრების უფლებები. ყველაზე ტრაგიკული ისაა, რომ ადამიანის სიცოცხლის ხელყოფა მოხდა. იმ ადამიანის, რომელიც არანაირ კავშირში არ იყო იმ დანაშაულთან, რის გამოც ხეობაში სპეცოპერაცია ჩატარდა.

ამის გათვალისწინებით არავის არ უნდა გაუკვირდეს ის, რომ ხეობაში ხალხი აღელვებულია და კატეგორიულად ითხოვენ სიმართლის დადგენას.

– პანკისელები ასევე კატეგორიულად ითხოვდნენ ლაფანყურში ჩატარებული სპეცოპერაციის გამოძიებას. ეს ოპერაცია წინა ხელისუფლებამ ჩაატარა. „ოცნების“ ერთ-ერთი დაპირება ამ საქმის გამოძიება იყო. აგვისტოში ამ სისხლიანი ოპერაციიდან 6 წელი გადის. საქმე გამოძიებული არაა. თემირლან მაჩალიკაშვილის საქმის გამოძიებაც ასე ხომ არ გაჭიანურდება?

– სამწუხაროდ, ლაფანყურის საქმე დღემდე გამოძიებული არ არის. ხალხს ამიტომაც არ სჯერა, რომ თემირლანის საქმეს გამოიძიებენ, იმედიც აღარ გვაქვს, მაგრამ რაღაცას მაინც ვეჭიდებით.

ლაფანყურთან დაკავშირებით ცოტა სხვანაირად არის საქმე. საქართველოს ხელისუფლება ამბობს, რომ ეს სპეცოპერაცია ბევრ სახელმწიფო საიდუმლოს შეიცავს და მათი გასაჯაროება ქვეყანას დააზარალებდა. რადგანაც საქმე სახელმწიფო საიდუმლოებას ეხებოდა, ჩვენ ქვეყნის ინტერესები გავითვალისწინეთ და გავჩუმდით. ჩვენ საქართველოს ინტერესების წინააღმდეგ არასდროს წავსულვართ.

– ხომ შეიძლება თქვან, რომ მაჩალიკაშვილის საქმის გასაჯაროებაც დააზიანებს ქვეყნის ინტერესებს?

– ამას ვერ იტყვიან, რადგანაც დღესავით ნათელია, თუ რა მოხდა მაჩალიკაშვილების სახლში. ეს სულ სხვა საქმეა და მისი გამოუძიებლობა არ გამოვა. ჩვენ ველით გამოძიებას.

უნდა ნახოთ, როგორი გულისფანცქალით ელოდებიან ხოლმე ხეობაში მალხაზ მაჩალიკაშვილის განცხადებებს. რამდენიმე დღის წინ მან ძალიან ემოციური განცხადება გააკეთა. ეს იყო მხოლოდ ემოციური განცხადება და კარგი იქნება, თუ ამას რაიმე კუდებს არ გამოაბამენ. ყველამ მის ადგილზე წარმოიდგინოს თავი. მიუხედავად იმისა, რომ მას შვილი მოუკლეს, მალხაზ მაჩალიკაშვილს ანტისახელმწიფოებრივი განცხადება არასდროს დასცდენია. ის თავის ყველა გამოსვლაში ქართველების და საქართველოს მიმართ გამოხატავს პატივისცემას.

– მალხაზ მაჩალიკაშვილი ზაზა სარალიძესთან ერთად ითხოვს სამართლიანობის აღდგენას. რამდენიმე დღის წინ გაავრცელეს ინფორმაცია, რომ სარალიძის გატაცება და შემდეგ ამის ქისტებისთვის დაბრალება იგეგმებოდა. ამაზე რას იტყვით?

– ზაზა სარალიძის და მალხაზ მაჩალიკაშვილის მიმართ რომ ყველანაირ პროვოკაციას უნდა ველოდოთ, ამაში ორი აზრი არ არსებობს. მე არ გამოვრიცხავ, რომ პროვოკაციის მიზნით, რომელიმე მათგანი მართლაც გაიტაცონ.

– ეს გასაგებია, მაგრამ ქისტებს რატომ უნდა დააბრალონ ეს გატაცება? რა მოტივით უნდა გაიტაცონ ზაზა სარალიძე პანკისელებმა?

– ქისტები ამას არ გააკეთებენ – ისინი სამართლიანობის აღდგენას უჭერენ მხარს და შვილმოკლულ მამას, რომელიც სამართალს ითხოვს, ხელს არ დააკარებენ. ეს ინფორმაცია ვიღაცამ შეგნებულად გაავრცელა. ვიღაცას ძალიან არ მოსწონს, რომ შვილმოკლული მამები ერთმანეთის გვერდით დგანან. ეს არის და ეს.

– პანკისის მიმართ რაიმე პროვოკაციას გამორიცხავთ?

– რატომღაც მგონია, რომ უფრო სარალიძის და მაჩალიკაშვილის დაპირისპირება სურთ. რაღაც ძალა მათ შორის შუღლის ჩამოგდებას ცდილობს.

რაც შეეხება პროვოკაციას პანკისის მიმართულებით, არც ესაა გამორიცხული. მე ყოველ წუთას ველოდები, რომ რაღაც მოხდება. ამის შესახებ მალხაზ მაჩალიკაშვილთანაც მისაუბრია. მანაც იცის, რომ ვიღაცამ შესაძლოა პროვოკაციები მოაწყოს. ყველანი ძალიან ფრთხილად უნდა ვიყოთ.

– პროვოკაციებს საიდან ელოდებით, ქვეყნის გარედან თუ შიგნიდან?

– ორივე მხარემ შეიძლება მოაწყოს პროვოკაცია. პანკისში არეულობის მოწყობა ყველაზე მეტად გარე ძალებს სურთ და ალბათ აქედან უფრო მეტ საფრთხეს უნდა ველოდოთ.

ხეობაში ძალიან მძიმე ვითარებაა. იმედი მაქვს, რომ ხელისუფლება სამართლიანობის აღსადგენად ყველაფერს გააკეთებს. სხვანაირად მშვიდობა არ იქნება.

ხელისუფლების მიმართ დითირამბებით არ გამოვირჩევი და ხშირად ვაკრიტიკებ მთავრობას. თემირლანის გამო ახლაც ბევრი პრეტენზიები მაქვს, მაგრამ ერთი რამ აუცილებლად უნდა ვთქვა – პრემიერის მხრიდან ძალიან მაღალზნეობრივი საქციელი იყო, როდესაც ის შვილმოკლული მამების აქციაზე მივიდა. ასეთი რამე მსოფლიოში, მგონი, არ მომხდარა. ძალიან გულდაწყვეტილი დავრჩი, როდესაც პრემიერს უსტვინეს.

– მექა, მოდით, ისევ პანკისში მოსალოდნელ არეულობას დავუბრუნდეთ. ისლამური სახელმწიფო ფაქტიურად დაიშალა. კიდევ მიდიან პანკისელი ახალგაზრდები სირიაში საომრად? ამ თემაზე თქვენ არაერთი განცხადება გაქვთ გაკეთებული და თქვენგან ვიცი, რომ ხეობის მოსახლეობა ახალგაზრდების გადინებას ძალიან მტკივნეულად განიცდიდა.

– მადლობა ღმერთს, ამ კუთხით სიტუაცია დასტაბილურდა. ბოლო 2 წლის განმავლობაში ახალგაზრდების სირიაში გასვლის არც ერთი ფაქტი არ დაფიქსირებულა. ეს უკვე შედეგია, რადგანაც მათი გადინება სერიოზულ აღშფოთებას და შეშფოთებას იწვევდა.

– უკვე წასულებზე რას გვეტყვით?

– მათი საქმე ძალიან რთულად არის. ქართული კანონმდებლობის თანხმად, მათ საქართველოში დაბრუნება ეკრძალებათ. სირიაში ქალები და ბავშვებიც არიან წასული. მათ არანაირ საომარ მოქმედებებში მონაწილეობა არ მიუღიათ და მათ დაბრუნების პრობლემა არ უნდა შეუქმნან.

სოციალური ფონი, ისევე, როგორც მთელს საქართველოში, აქაც მძიმეა, მაგრამ ამის გამო აქციებს არავინ მოაწყობს და სიტუაციას არ დაძაბავენ. უარესები გადაგვიტანია ამ წლებში, მაგრამ პრობლემა არ შეგვიქმნია. ცოტა ხნის წინ ხეობის გაზიფიცირებაც მოხდა. ამის გამო მადლობა ხელისუფლებას.

– თქვენ ყოველთვის ამბობდით, რომ ხეობაში განათლებასთან დაკავშირებით იყო პრობლემები. ახლა რა ხდება?

– ამ მხრივაც უკეთესობაა. სადაც განათლებაა, იქ სინათლეც არის და პროგრესიც. ყველაზე კარგი ის არის, რომ მშობლიური ენის სწავლება დაიწყეს ბავშვებმა. ჯერ კვირაში 2 გაკვეთილი უტარდებათ, მერე ვნახოთ.

– რომელი კლასიდან სწავლობენ ბავშვები ჩეჩნურს?

– მეხუთე კლასიდან. ეს მართლა კარგი გადაწყვეტილებაა, თორემ ენა სულ დაგვავიწყდებოდა.

– ენა როგორ დაგავიწყდებოდათ? მართალია, ქისტები ქართულად გადასარევად საუბრობთ, მაგრამ ოჯახებში ხომ სულ ქისტურად ესაუბრებით ერთმანეთს?

– რა თქმა უნდა, ქისტური ვიცით, მაგრამ არ დაგავიწყდეთ, რომ ჩვენ 200 წელია, საქართველოს ტერიტორიაზე ვცხოვრობთ. ამ პერიოდის მანძილზე ჩვენი ენა ძალიან გაღარიბდა. 1999 წელს ჩეჩნეთიდან ლტოლვილები რომ ჩამოვიდნენ, მათი გაგება თავიდან გვიჭირდა. ახლა ეს პრობლემა მოგვარდება.

აკაკი ზოიძე: „ტრადიციების რღვევა დაგვაბრალეს“

– გავიგე არგუმენტი, თითქოს იმის გამო, რომ ხალხი მოსაწევად გარეთ გადის, ამით ქართული სუფრის ტრადიციები ირღვევა და ვეღარ ხდება ქართული სუფრის ტრადიციების შენარჩუნება, – განაცხადა პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ ჯანმრთელობის ხელშეწყობისა და პრევენციის სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს სხდომაზე, სადაც 8 ივნისს თამბაქოს კონტროლის კანონმდებლობის შესრულების საკითხზე იმსჯელეს.

– იქამდეც მივედით, რომ ტრადიციების რღვევა დაგვაბრალეს. ჩვენ დიდი იმედი გვაქვს, რომ 2018 წლის 1-ელი მაისიდან რეალურ გარდატეხას შევიტანთ ორი მიმართულებით – გადავარჩენთ იმ ადამიანებს სიცოცხლეს, რომლებიც პასიური მოწევის შედეგად იღუპებიან და ასევე, ახალი თაობები აღარ ჩაერთვებიან მოწევაში, რადგან სპონსორობა და რეკლამირება აიკრძალა. სექტემბრიდან კი შემოვა პიქტოგრამები და გაფრთხილებები, რაც ასევე შეამცირებს ახალგაზრდების დაინტერესებას თამბაქოს პროდუქციით, – განაცხადა აკაკი ზოიძემ.

მარგველაშვილი: „არჩილ ტატუნაშვილის მკვლელობას აუცილებლად საკადრისი პასუხი უნდა გაეცეს“

– არჩილ ტატუნაშვილის მკვლელობას აუცილებლად საკადრისი პასუხი უნდა გაეცეს, – მიმართა საქართველოს პრეზიდენტმა სამხრეთ კავკასიაში ეუთო-ს სპეციალურ წარმომადგენელს გიუნტერ ბეხლერს, რომელთანაც სასახლეში შეხვედრა გამართა.

გიორგი მარგველაშვილმა ჟენევის მოლაპარაკებებსა და სხვა საერთაშორისო ფორმატებში არჩილ ტატუნაშვილის მკვლელობის საკითხის წინა პლანზე წამოწევის აუცილებლობაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ ამ მკვლელობას აუცილებლად საკადრისი პასუხი უნდა გაეცეს.

შეხვედრისას საუბარი შეეხო ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ უსაფრთხოების გარემოს, რუსეთის ფედერაციის მცდელობებს შეუზღუდოს მოძრაობის თავისუფლება ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ მოქალაქეებს.

ეროვნული უშიშროების მდივნის დავით რაქვიაშვილის განცხადებით, შეხვედრისას პრეზიდენტმა განიხილა რუსეთის პროპაგანდის მეთოდები, რომლის მიზანიც საქართველოში საზოგადოების გახლეჩაა.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

სერგი კაპანაძე: „ნებისმიერ აღამიანს დავკითხავთ, ვისაც საჭიროდ ჩავთვლით“

დროებითი კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ანრი ოხანაშვილი იქნება, მდივანი — ოთარ კახიძე

ნათია ხურცილავა

„ევროპული საქართველოს" ეთეთი ღიდეი, პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარე, სერგი კაპანაძე, „ახალ თაობასთან" ინტერვიუში კომისიის მუშაობის დეტალებზე საუბრობს.

– ბატონო სერგი, პირველ რიგში გვითხარით, კომისიამ პირველ სხდომაზე რა საკითხები განიხილა?

– პირველი სხდომა, როგორც წესი, საორგანიზაციო საკითხებს დაეთმო. სხდომაზე ასევე მივიღეთ საგამოძიებო კომისიის დებულება, რომელიც ორშაბათს პარლამენტის ბიუროს სხდომაზე დამტკიცდება. კომისიას კომისიის თავმჯდომარის მოადგილე და მდივანი ეყოლება.

– ვინ იქნებიან?

– კომისიის თავმჯდომარის მოადგილე „ქართული ოცნებიდან“ ანრი ოხანაშვილი იქნება, კომისიის მდივანი კი – „ევროპული საქართველოდან“ ოთარ კახიძე. კომისია მომავალი კვირიდან აქტიურად იწყებს სხდომების ჩატარებას.

– გამოკითხვებს?

– დიახ, მაგრამ ჩვენი აქტივობები პირდაპირ დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რამდენად სწრაფად მოვა კომისიაში მასალები შინაგან საქმეთა სამინისტროდან, პროკურატურიდან და სასამართლოდან. წერილები უკვე დაგზავნილი გვაქვს და უმოკლეს ვადაში ველოდებით პასუხებს კომისიაში. როგორც კი მასალები შემოვა, უკვე შეგვეძლება, დავიწყოთ, ერთი მხრივ, მასალების გაცნობა და, მეორე მხრივ, იმ გეგმის შედგენა, თუ ვინ როდის უნდა მოვიდეს კომისიის სხდომაზე.

– ვინ შეიძლება იყოს დასაკითხ პირთა წრეში, შეიძლება თუ არა, ისინი იყვნენ მოქმედი მაღალჩინოსნები, მაგალითად, პრემიერი?

– წინასწარ შეუძლებელია ვთქვა, რომ ამ კონკრეტულ ადამიანზე შეიძლება გავიდეთ. ეს არასერიოზული იქნებოდა ჩემი მხრიდან, მაგრამ პრინციპის დონეზე შემიძლია გითხრათ: თუ გამოიკვეთება ნებისმიერი პირის მონაწილეობა, არ აქვს მნიშვნელობა არც ამჟამინდელ თანამდებობას, არც ყოფილ თანამდებობას, არც მის გავლენას, არც მის პოლიტიკურ წონასა თუ ფინანსურ მდგომარეობას და ა.შ. ჩვენ მას აუცილებლად მოვიყვანთ სხდომაზე.

რაც შეეხება კონკრეტულ გვარებს, რომლებიც აქამდე ვრცელდებოდა, ბატონი შოთაძე, ბატონი სუბელიანი და სხვები, რა თქმა უნდა, ისინი გამოძახებული იქნებიან იქიდან გამომდინარე, ამ წუთში რა საჯარო ინფორმაციაც არსებობს.

– თუ არ მოვიდნენ, კომისიის მუშაობაში ხელშეშლა თუ მოხდა, კომისიას რა ბერკეტი აქვს?

– კომისიას შეუძლია, გადაწყვეტილებები გამოსცეს, რეკომენდაციები მიიღოს, მიმართვები მთავრობის მიმართ კონკრეტული ქმედებების გასატარებლად. ეს ქმედებები შეიძლება ეხებოდეს კონკრეტული ადამიანების დაკავებას, საქმიანობის შეზღუდვასა და ა.შ. შესაბამისად, არსებული ინსტრუმენტების გათვალისწინებით ვიმოქმედებთ, თუ მათი მხრიდან დაუმორჩილებლობა იქნება. კანონი კი მათ ავალდებულებს, რომ კომისიის სხდომაზე მოვიდნენ.

– სხვა პირების გამოკითხვა როდის მოხდება?

– ეს დამოკიდებულია კონკრეტულად იმაზე, თუ როდის შემოვა კომისიაში გამოთხოვილი მასალები. ამის მიხედვით შედგება დასაკითხ პირთა გეგმა. მასალების შემოსვლის გარეშე, მოუმზადებლად დაკითხვის წარმოება შეუძლებელია. დიდი იმედი მაქვს, რომ მომავალ კვირას დავიწყებთ ამ პროცესს. ერთი სიტყვით, კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა მასალებზეა დამოკიდებული.

ძალიან ინტენსიურ მუშაობას ვაპირებთ. შეიძლება კვირაში რამდენიმე სხდომა ჩავატაროთ, რამდენიმეზე მეტიც კია შესაძლებელი, მაგრამ ეს იქნება ძალიან ინტენსიური მუშაობა. კანონით განსაზღვრულია, რომ თვეში მინიმუმ ორი შეხვედრა უნდა ჩავატაროთ, მაგრამ ეს სასაცილოა, რადგან ასეთი ტიპის საქმეს გაცილებით მეტი რაოდენობის შეხვედრა სჭირდება. ყველაფერი ძალიან მალე გამოჩნდება.

– ადა მარშანიამ კომისია დატოვა და ულტიმატუმი დააყენა, ან კომისიამ გააფართოოს საქმეები და სხვა საქმეებიც გამოიძიოს, კონკრეტულად კი ნაციონალური მოძრაობის მმართველობის დროს ჩადენილი დანაშაულები, ან ალტერნატიული კომისია შეიქმნასო.

– ქალბატონმა ადამ პოლიტიკური მასკარადი, პოლიტიკური შოუ მოაწყო საკუთარი ვიწრო პოლიტიკური მიზნებიდან გამომდინარე. ეს ძალიან სამწუხარო ფაქტია, მაგრამ, რასაკვირველია, ამ გადაწყვეტილებაში ის თავისუფალია. ეს მისი არჩევანია. კომისია მუშაობს კონკრეტულად ხორავას ქუჩაზე მომხდარი მკვლელობის საქმესთან და მის ირგვლივ არსებულ გარემოებებთან დაკავშირებით. ბუნებრივია, რომ არანაირი მანდატის გაფართოება ამ კომისიის ფარგლებში არ მოხდება. ეს შეუძლებელია. ეს ძალიან კარგად იცის ადა მარშანიამ, მაგრამ მაინც გამოიყენა შესაძლებლობა პოლიტიკური შოუს მოსაწყობად. თუ ის დატოვებს კომისიის შემადგენლობას, არ ვფიქრობ, რომ ამით კომისია დიდად დაზარალდება.

– ზაზა სარალიძემ თქვა, რომ ეკა ბესელიამ შეურაცხყოფა მიაყენა და მას სასაუბროდ არ დაუჯდება.

– მე ძალიან კარგად მესმის ბატონი ზაზას დამოკიდებულება ამ საკითხის მიმართ. თავის დროზე კარგი იქნებოდა, რომ „ქართულ ოცნებას“ შესაბამისი გადაწყვეტილება მიეღო, მაგრამ ახლა კომისია გააგრძელებს მუშაობას. როგორც ზაზა სარალიძის, ასევე ჩემი პოზიციაა, რომ ჩვენ შორის თანამშრომლობა იქნება. აქედან გამომდინარე, რა გადაწყვეტილებას მიიღებს ბესელია, ამას ვნახავთ. არავის ჰქონდეს ილუზია, რომ თავისი პოლიტიკური პოზიციიდან ან ეგოდან გამომდინარე როგორმე გააჭიანურებს ამ კომისიის მუშაობას. თვითონ მოუწევთ გადაწყვეტილების მიღება ბესელიასთან დაკავშირებით.

– რამდენ ხანში დადებთ დასკვნას?

– კომისიის ფორმალური ვადა სამი თვეა, მაგრამ ჩვენ მუშაობას ინტენსიურად ვაპირებთ, რომ რაც შეიძლება მალე უკვე პირველი გადაწყვეტილებები იყოს მიღებული.

– მთავარი პროკურორის შერჩევასა და კანდიდატებზეც უნდა გკითხოთ. თქვენმა პარტიამ შალვა შავგულიძე წარადგინა ამ პოსტზე. რამდენად რეალურია, რომ ხელისუფლება ამ დათმობაზე წავიდეს?

– მე მგონია, რომ ძალიან მნიშვნელოვანია, შეირჩეს ისეთი მთავარი პროკურორი, რომელსაც აქვს ცოდნა, კვალიფიკაცია, მონდომება, გამოცდილება და, რაც მთავარია, საზოგადოების ნდობა, რომ ასეთი ტიპის გახმაურებული საქმე ბოლომდე მიიყვანოს, რომ არ მოერიდოს არავის ფორმალურ თუ არაფორმალურ გავლენას, რაც შეიძლება ამ საქმეზე იკვეთებოდეს. პირველი, ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი. შესაბამისად, ასეთი ტიპის ადამიანად, ამ ტიპის პროფესიონალად შალვა შავგულიძე მიგვაჩნია.

შალვა შავგულიძე არ არის ჩვენი პოლიტიკური ძალის წარმომადგენელი, არ არის ჩვენი პოლიტიკური პარტნიორი. ამას ვამბობ ხაზგასმით. ის თავის დროზე „ქართული ოცნების“ წარმომადგენელი იყო, მაგრამ თავისი საქმიანობის მთელი რიგი მიმართულებებით აჩვენა, მათ შორის გახმაურებულ საქმეებზე, თუ როგორი პრინციპული ადამიანია. სწორედ აქედან გამომდინარე წარვადგინეთ ის. ბატონი შალვა თუ გახდა მთავარი პროკურორი, ამ კონკრეტულ ეპიზოდში არ გააჩნია პრინციპული მნიშვნელობა, თუ ვინ არის მისი წარმდგენი. ახლა მთავარია, რომ ჩვენ, ამ ქვეყნის მოქალაქეებმა, საზოგადოებამ, შედეგი მივიღოთ.

– არასამთავრობო სექტორი შერჩევის პროცესს ემიჯნება და წულუკიანის გადადგომას ითხოვს. თქვენი პარტიის პოზიცია როგორია?

– რაც შეეხება წულუკიანის როლს ამ სისტემაში, ქალბატონი წულუკიანის გადადგომას დიდი ხანია, „ევროპული საქართველო“ ითხოვს. ჩვენი არც ერთი განცხადება არ გასულა პარლამენტის ფარგლებში, რომ ეს არ მოგვეთხოვოს. ეს ბუნებრივი მოთხოვნაა, რადგან მან აჩვენა, რომ ის შეუფერებელია ამ თანამდებობისთვის. თუმცა, ამ შემთხვევაში ეს არ არის ყველაზე მნიშვნელოვანი. კი ბატონო, ის უნდა გადადგეს, მაგრამ მნიშვნელოვანია, შედეგი მივიღოთ. შედეგი კი ის არის, ისეთი მთავარი პროკურორი მივიღოთ, რომელიც ამ საკითხებს ბოლომდე მიიყვანს.

რაც შეეხება პროცედურებს, მათ შორის არასამთავრობო ორგანიზაციებისა თუ სხვა წინადადებებს, როგორ უნდა შეიცვალოს მთავარი პროკურორის არჩევის პროცედურა, ამ შემთხვევაშიც, რასაკვირველია, ჩვენ მეტი გამჭვირვალობის, მეტი ჩართულობის, მეტი საზოგადოებრივი აქტივობის მომხრე ვართ, მაგრამ ეს ყველა საკითხი ერთმანეთს არ უნდა მივაბათ, რათა მთავარს არ ავცდეთ.

გიორგი მარგველაშვილი: „კვირიკაშვილი დარჩეს, წულუკიანი გადადგეს“

– პროპაგანდის მეშვეობით პროცესის დისკრედიტაციასთან გვაქვს ადგილი, რომელიც ჩემთვის პირადად ახალი არ არის, – ამის შესახებ გიორგი მარგველაშვილმა ტვ „პირველის“ ეთერში განაცხადა.

პრეზიდენტი მიიჩნევს, რომ მოთხოვნა იუსტიციის მინისტრის გადადგომის შესახებ სრულიად ლოგიკურია. საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა ტვ „პირველის“ ეთერში განაცხადა, რომ საზოგადოების მოთხოვნას, პრემიერის გადადგომაზე, არ მიესალმება.

– მე არ მაქვს ის განცდა, რომ პრემიერ-მინისტრი უნდა გადადგეს. ეს მოთხოვნა საზოგადოების დასაყენებელია ან არ დასაყენებელია, – განაცხადა პრეზიდენტმა.

კონტრაქციებით პოლიტიკური პროცესის მართვის იმიტაცია, ჩემთვის ერთ-ერთ ყველაზე დიდ საშიშროებას წარმოადგენს, – განაცხადა პრეზიდენტმა.

პრეზიდენტმა ქვეყნის უახლესი წარსული გაიხსენა და საზოგადოების ორად გახლეჩვის და დაპირისპირების საშიშროებაზე ისაუბრა:

– რაიმენაირად აღკვეთილ იქნას საზოგადოების დახლეჩა და დაპირისპირება ერთმანეთთან, რომელსაც მე შემდეგ დღეებში ვადევნებდი თვალს, – აცხადებს მარგველაშვილი.

კითხვაზე, ხედავს თუ არა ხელისუფლების კვალს კონტრაქციების უკან, პრეზიდენტი ამბობს, რომ ის ხელს ვერავის დაადებს, მაგრამ ისეთი დინამიკა ჩამოყალიბდა, როგორიც 90-იან წლებში, როდესაც თბილისში სამოქალაქო დაპირისპირება დაიწყო.

– ეს არის დენთთან თამაში და არაფრის დიდებით ჩვენ არ უნდა დავხლიჩოთ საზოგადოება, – განაცხადა პრეზიდენტმა.

– აქციაზე ნაცების დათვლას, ფრაქციაში დაითვალონ ნაცები და იმ კომისიაში დაითვალონ ნაცები, რომელშიც დასხდნენ, – გიორგი მარგველაშვილი.

პრეზიდენტი იმ განცხადებებს გამოეხმაურა, რომელიც ზაზა სარალიძის და მალხაზ მაჩალიკაშვილის მხარდამჭერი აქციის მისამართით კეთდებოდა.

– მე ვფიქრობ, რომ ჯანმრთელი პოლიტიკური პროცესისთვის იქ (აქციაზე) უნდა იდგეს „ქართული ოცნება“, – აცხადებს გიორგიო მარგველაშვილი.

რაც შეეხება საგამოძიებო კომისიას. კითხვაზე, მოსწონს თუ არა პრეზიდენტს ეს კომისია, გიორგი მარგველაშვილი პასუხობს:

– მე არ მომწონს სიყალბე, ორმაგი სტანდარტი. თუ შეგიძლია, რომ ფრაქციაში გყავდეს ნაციონალი და თუ შეიძლება, რომ კომისიაში ერთად იჯდე ნაციონალებთან, მე ვერ ვხვდები, როდესაც შენ გვერდში უდგახარ ადამიანს, რომელსაც უსამართლობის ტკივილი ამოძრავებს, რატომ იქ არ შეიძლება, რომ შენ იყო, – აცხადებს პრეზიდენტი.

– მე არ მესმის, რატომ არ იყვნენ იქ ის პოლიტიკოსები, ვინც „ქართულ ოცნებაში“ არიან, – აცხადებს საქართველოს პრეზიდენტი ზაზ სარალიძის მხარდამჭერ აქციაზე საუბრისას.

გიორგი მარგველაშვილის თქმით, თუ 10 რიცხვში „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები აქციაზე მივლენ, იქნება ძალიან სწორი.

გიორგი მარგველაშვილი იმ ინციდენტსაც გამოეხმაურა, რომელიც პრემიერის აქციაზე მისვლას მოყვა და განაცხადა, რომ ეს არ იყო სასიამოვნო საყურებელი.

„QET-ის ქართულ ოფისს ეკა ბესელიას ოჯახის წევრები მართავენ“

QNET-ის ქართულ ოფისს ეკა ბესელიას ოჯახის წევრები მართავენ, – ამის შესახებ ინფორმაციას გამომძიებელ ჟურნალისტთა გაერთიანება (იფაქტ.გე) ავრცელებს.

ამასთან, მათივე ცნობით, თავად

ოფისი ეკა ბესელიას საკუთრებაში მდებარეობს.

– QNET პირამიდის პრინციპზე დაფუძნებულ ქსელურ მარკეტინგს ეწევა. ეკონომისტების აზრით, პირამიდის მოდელის მქონე კომპანიები მოგების მისაღებად თაღლითურ სქემას იყენებენ, – აღნიშნულია გაერთიანების განცხადებაში.

წყარო: ifact.ge

ხელისუფლება პირდაპირ გვეხვეწება, დამამხეო

გოგი წულაია: „ადამიანების სიცოცხლე ვერ დაიცვენ და რა კატასთან სექსი ოუტყდათ“

შორენა მარსაგიშვილი

საჯებეოებს სეეეეჩი დადგენეებების მეღებაში აშჯახად ჯონჯუსი აქვთ გამოცხადებეი. ზოგეითი მენეციპალიტეტი მეცვალებეების დამჯდახ მდგომახეობაში დაჯეძალვის წესს ადგენს, ზოგი გეიმანეიდან ხახის სპეიმას ინეხს, ფოთის საჯებეომ ჯი მოქალაქეებს ცხოვეებთან სექსი აუჯეძალა.

ამ გადაწყვეტილებამ ისედაც ემოციური გოგი წულაია სულ გადარია. მისი თქმით, ხელისუფლება თავის მატორზე აღარაა და უჟიჟინებს.

რატომ მიიღო ფოთის საკრებულომ ასეთი სკანდალური გადაწყვეტილება, რისკენ უბიძგებს ხელისუფლება ხალხს და ოპოზიციას? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ „თავისუფალი საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი გოგი წულაია ესაუბრება.

გოგი წულაია:

– ამ დღეებში ცნობილი გახდა ფოთის საკრებულოს დადგენილების შესახებ, რომლის მიხედვითაც მოქალაქეებს ცხოველებთან სექსი ეკრძალებათ. ამ გადაწყვეტილებაზე სხვა ჟურნალისტებმაც მთხოვეს კომენტარი. ამას შეფასება არა აქვს, ხალხო! ამათი მოქმედებები შეფასებას აღარ ექვემდებარება.

გაიგეთ ყველამ, რომ ეს ხელისუფლება თავის მატორზე ვეღარ არის და უჟიჟინებს. ჩათვალეთ, რომ ქვეყანა აღარ არსებობს.

– რატომ აღარ არსებობს, რაკი ფოთის საკრებულომ ცხოველებთან სექსი აუკრძალა ადამიანებს? ეს ბევრ ქვეყანაშია აკრძალული.

– მერე იგი დალაგებული ქვეყნებია. ჩვენ დალაგებულები ვართ? ადამიანების სიცოცხლე ვერ დაიცვენ და რა კატასთან და ძაღლთან სექსი ოუტყდათ? რა დროს ესენია, როცა შენი მოქალაქეების უდიდესი ნაწილი მონობაშია.

– მონობაში რას გულისხმობთ?

– საზღვარგარეთ სამუშაოდ რომ არიან წასულები, იმგენზე ვამბობ. ეს ადამიანები ფაქტიურად მონობაში არიან და ასე შოულობენ ერთ-ორ კაპიკს. ამგენმა ყველამ რომ მოიფიქროს და თქვას, რომ საქართველოში აღარ აგზავნიან ფულს, სად მიდის ხელისუფლება მერე? გეუბნებით, ვერც პენსიას გასცემენ, ვერც ხელფასს და ქვეყანა საერთოდ დაინგრევა. ჯერ ხომ ისედაც დანგრეულია და მერე მთლად მიწასთან გასწორდება.

ადამიანების სიცოცხლეს ვერ იცავ, ვერ იცავ, მაგრამ იმის შნო მაინც ხომ უნდა გქონდეს, რომ მკვლელობის ფაქტი გამოიძიონ.

ხელისუფლება თავში აგურებს უნდა ირტყამდეს და გამოსავალს ეძებდეს. ეგენი ამის ნაცვლად ყველაფერს აკეთებენ, რომ ხალხი გააღიზიანონ. ხალხის წყობიდან გამოყვანა უნდათ, თორემ რაის მიცვალებულის წამოჯდომა და კატასთან სექსის აკრძალვა.

ამას იმიტომ აკეთებენ, რომ ხალხი ტანსაცმლიდან ამოხტეს და ამგენი ჩამოაგდოს ტახტიდან.

– გიყვები ხომ არ არიან, ხალხს საკუთარი ჩამოგდებისკენ უბიძგონ?

– გეუბნებით, თავის მატორზე ვერ არიან და უჟიჟინებენ.

– თავად ფოთის საკრებულოს გადაწყვეტილებას რითი ხსნით? არსად გამიგია, რომ ამ რეგიონში ზოოფილების პრობლემა იდგა.

– არც მე არ გამიგია, მაგრამ ამგენს უჟიჟინებს. ეტყობა, ანეკდოტი გაიგეს, ერთი კუთხის მაცხოვრებლებზე და ვირზე რომ არის და თავადაც გადაწყვიტეს საანეკდოტოდ გაეხადათ საქმე.

ამგენი თავის მატორზე არ არიან და არ გამოვრიცხავ, ამის გულისთვის მიიღეს ეგი დადგენილება.

მესმის, რომ ზოოფილია პრობლემაა, მაგრამ კატასთან სექსის მეტი ასაკრძალი ვერაფერი დაინახეს? ქალაქები დანგრეულია ფაქტიურად. ქუჩებში გაიარეთ, ასფალტზე იმხელა ორმოებია, რომ იქ ბაყაყები და გველები ჩასახლდნენ უკვე.

ამ დროს ძაღლთან ინტიმურ კავშირზე საფიქრალად როგორ სცალიათ, არ მესმის, მაგრამ გეუბნებით, გვაღიზიანებენ. პირდაპირ გვეუბნებიან, მოდით და დაგვამხეთო. ძალიან მალე დავამხობთ. ხალხი ისეა გამწარებული, რომ ამგენს წალეკავს.

– დარწმუნებული ხართ, რომ წალეკავს?

– დარწმუნებული ვარ? ამაში ისევე ვარ დარწმუნებული, როგორც იმაში, რომ ინტერვიუს „ახალ თაობას“ ვაძლევ. ეს ხელისუფლება ძალიან ცუდად დაამთავრებს. მას ხალხი დაამხობს.

– ხელისუფლების დამხობა დანაშაულია.

– ხელისუფლება რასაც აკეთებს, იგი არაა დანაშაული? არც მე მინდა დამხობა, მაგრამ თავად გვეუბნებიან დაგვამხეო.

ასჯერ მაინც მაქვს ნათქვამი, რომ არავინ არავის არ ამხობს, ყველა ხელისუფლება თავად იმხობს საკუთარ თავს, თავისი იდიოტური ქმედებებით. ამგენის იდიოტობას საზღვარი აღარ აქვს და მაგიტომაც წალეკავს ხალხი.

ამათ ტვინი რომ ჰქონდეთ, უკვე უნდა გადამდგარიყვნენ. თავადაც ხომ ნახეს, რომ ერთი მოწოდებით რამდენი ხალხი გამოვიდა ქუჩაში და შვილმოკლულ მამას დაუდგა გვერდით.

მართლა კატასტროფაა, ათასობით ახალგაზრდაა ქუჩაში გამოსული და ხელისუფლებას ეუბნება: ნუ მომკლავ, მაგრამ თუ მაინც მკლავ, საქმე მაინც გამოიძიე, შენი დედა.

ამაზე მეტი რა უნდა მოხდეს? ახალგაზრდობა თუ აღარ გენდობა, ვისი ხელისუფლება ხარ? სექსისგან რომ კატა და ძაღლი დაიცავი.

ძალიან ცუდადაა და საქმე და ხელისუფლებაც ცუდად დაამთავრებს. ისევე, როგორც მათმა წინამორბედებმა გააკეთეს, ესენიც თავად დაიმხობენ საკუთარ თავს.

რეგიონი

გორის პოლიციამ სადავო ნიორი დააყადაღა

– აქ უნდა ნახოთ, რა ხდება ხოლმე. როგორც კი მოსავალს ავიღებთ, მაშინვე მოეფინებიან ხოლმე არემარეს. სავსეა აქაურობა ველური კანაფით, – ამბობს მოსავლის მფლობელი, რომელსაც ნიორი დაუყადაღეს.

გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ხელთუბანში, 60 მეასედ მიწის ნაკვეთში, ტერმელაშვილების ოჯახის მიერ მოყვანილი ნიორი დააყადაღეს და პოლიციის მონაწილეობით საწყობში გადაიტანეს. ნაკვეთში მხოლოდ ველურად ნაზარდი მარიხუანა დარჩა. პროკურატურის დავალებით, გორის შს სამმართველოს მეჯვრისხევის განყოფილებამ გამოძიება ტერმელაშვილების წინააღმდეგ ქურდობის მუხლით დაიწყო.

გამოძიების დაწყების საფუძველი კომპანია „ფილობათერის“ წარმომადგენლის ზარი გახდა 112-ზე, რა დროსაც პოლიციას აცნობა, რომ მათი კუთვნილ ნაკვეთიდან ნიორს იპარავდნენ. გაირკვა, რომ ნიორი მიწის ნაკვეთზე ტერმელაშვილის ოჯახმა მოიყვანა. მიწიდან ამოიღეს და მზეზე გასაშრობად დააწყეს.

7 ივნისს, გვიან საღამოს, მეჯვრისხევის განყოფილებაში ტერმელაშვილების ოჯახის წევრები დასაკითხად დაიბარეს. მათ ინტერესებს ადვოკატი ზაზა გიგაური იცავს. ზაზა გიგაური ამბობს, რომ ნიორი ტერმელაშვილების საკუთრებაა.

– საქმე ისაა, რომ მიწის ნაკვეთის თაობაზე ტერმელაშვილებს და ეგვიპტური კომპანიის წარმომადგენლებს დავა აქვთ. ისინი 2013 წლიდან 2015 წლამდე პარტნიორები იყვნენ. ბოლო ორი წლის განმავლობაში, მოსავალს ტერმელაშვილები საკუთარი სახსრებით უვლიან. 2017 წლის დეკემბერში, კომპანიის იურისტმა პოლიციას აცნობა, რომ მის ნაკვეთში ტერმელაშვილმა ნიორი დათესეს.

პოლიციამ უპასუხა, რომ წარმოადგენდა სამოქალაქო დავას და ედავათ სასამართლოში. სასამართლოში დავა არ წასულა. როგორც ჩანს, დააცადეს ოჯახს, რომ ნიორი მოეყვანათ, შემდეგ კი, მოსავალი თავად დარჩენოდათ, – აცხადებს ზაზა გიგაური.

ადვოკატი აცხადებს, რომ უნდა გაიმიჯნოს ორი საკითხი – მიწაზე დავა და ნივრის მფლობელობა.

– ჩვენი მოწინააღმდეგე მხარე ამბობს, რომ ნიორს იპარავდნენ, თუმცა აღიარებს, რომ ეს მისი ნიორი არაა. ამას თავად წერენ ზამთარში. უფრო მეტიც, წერენ, რომ მიწის ნაკვეთში ნიორი ტერმელაშვილებმა დათესეს. აქედან გამომდინარე, თუკი ნიორი ტერმელაშვილებმა დათესეს, ეს იმას ნიშნავს, რომ ნიორი ტერმელაშვილების საკუთრებაა, – აცხადებს ზაზა გიგაური.

რაც შეეხება მიწაზე დავას, ზაზა გიგაური ამბობს, რომ ამ დავას ქურდობასთან შეხება არა აქვს.

– როგორც ზემოთ აღვნიშნე, მიწის მესაკუთრეობის საკითხი ცალკე განსახილველია. არსებობს წერილობითი სახის ხელშეკრულებები, სადაც ჩანს, რომ 2013 წელს ოჯახის უფროსმა ტერმელაშვილმა ფული ასესხა კომპანიის წარმომადგენელს, შემდეგ ამ ფულით იყიდა მიწის ნაკვეთი იმავე ტერმელაშვილებისგან. თანაც, თანხა ბოლომდე არაა გადახდილი, – აცხადებს ზაზა გიგაური.

კომპანია „ფილობათერის“ წარმომადგენელი იურისტი წუხელ ნივრის ბაღებთან იმყოფებოდა. მან ჟურნალისტებთან საუბარი არ ისურვა. საჯარო რეესტრში ნაკვეთი მის სახელზეა რეგისტრირებული. რაც შეეხება ნიორს, ჩვენს კითხვაზე, მიიღეს თუ არა მონაწილეობა ნივრის მოყვანაში, კომპანიის წარმომადგენელმა დუმილი ამჯობინა.

ქართლი.გე

ვალეში 5 წლის გოგონას გარდაცვალების გამო აქცია გამართეს

8 ივნისს ახალციხის მუნიციპალიტეტში, ვალეში, ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად 5 წლის გოგონას გარდაცვალების გამო ახალგაზრდებმა საპროტესტო აქცია გამართეს. ახალციხის ტელეკომპანია „მეცხრე არხის“ ინფორმაციით, ადგილობრივებმა ხელისუფლებას სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე სიჩქარის შემზღუდველი ბარიერების დამონტაჟების მოთხოვნით არაერთხელ მიმართეს, მაგრამ უშედეგოდ.

აქციის მონაწილეთა თქმით, სტალინის ქუჩის აღნიშნულ მონაკვეთზე ავარიები ხშირად ხდება, ხელისუფლებამ კი უარი იმით განმარტა, რომ საავტომობილო გზა საერთაშორისო მნიშვნელობისაა, რის გამოც მისი მოვლა-პატრონობა ადგილობრივი ხელისუფლების კომპეტენციაში არ შედის.

ავტოსაგზაო შემთხვევა, რომელსაც 5 წლის გოგონა ემსხვერპლა, 7 ივნისს მოხდა. თვითმხილველების ცნობით, ბაბუა შვილიშვილს ნაყინს აწვდიდა, რა დროსაც გოგონამ გზაზე გადაირბინა და სწრაფად მიმავალი მანქანა დაეჯახა.

სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადამ დაშავებული ბავშვი ახალციხის კლინიკაში გადაიყვანა, მაგრამ ექიმების თქმით, პაციენტი უკვე გარდაცვლილი იყო.

ავტოსაგზაო შემთხვევაზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მე-5 ნაწილით მიმდინარეობს, რაც გულისხმობს ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია. დანაშაული 4-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ავტოსაგზაო შემთხვევის ფაქტზე პოლიციამ ვალეში მცხოვრები, 24 წლის მამაკაცი დააკავა.

რეგინფო

გაქურდული მაღაზიის მეპატრონე: „ნისიების რვეული საერთოდ არ მქონია“

გორში კომბინატის მაღაზიის მეპატრონე ამბობს, რომ მაღაზიიდან წაღებულია ტანსაცმელი. რაც შეეხება ნისიების რვეულს, მის ქურდობაში ჯერ დარწმუნებული არაა.

– როდესაც შემოვედით, ყველაფერი არეული იყო. ტანსაცმლის გარდა, რა უნდა წაეღოთ. მეორადების მაღაზიაა. წაღებულია უკანა კარიდან. რაც შეეხება ნისიების რვეულს, ამ მაღაზიაში საერთოდ არ გვქონია ნისიების რვეული, – აცხადებს მაღაზიის მფლობელი.

შიდა ქართლის საინფორმაციო ცენტრი წერდა, რომ ქალაქ გორში, გორგასლის ქუჩაზე წუხელ მაღაზია გაქურდეს და ტანსაცმელი მოიპარეს. ექსპერტებმა იმ კარიდან ანაბეჭდები აიღეს, საიდანაც უცნობმა პირებმა, სავარაუდოდ, შეფუთული ნივთები გაიტანეს. გატეხილია ფანჯარა და ვარაუდობენ, რომ საცავში შეღწევა ფანჯრიდან მოახერხეს.

ქართლი.გე

ლანჩხუთში ფაროსანას საწინააღმდეგო ხსნარით ორი ადამიანი მოიწამლა

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ორი ადამიანი აზიური ფაროსანას საწინააღმდეგო ხსნარით მოიწამლა. ისინი საავადმყოფოში იმყოფებიან და როგორც ექიმები აცხადებენ, მოწამლულების სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

ერთ-ერთი მოწამლული აცხადებს, რომ ინტოქსიკაცია მას შემდეგ მიიღო, რაც სურსათის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლებმა სპეცტექნიკის გამოყენებით მისი სახლის მიმდებარე ტერიტორია შეწამლეს. მისი თქმით, შეწამვლის შესახებ არ იყო გაფრთხილებული.

მეორე კი ამბობს, რომ ტერიტორია ფაროსანას საწინააღმდეგო ხსნარით თავად შეწამლა და ამის შემდეგ მიიღო ინტოქსიკაცია.

მდინარე ჭოროხზე ჯომარდობის დროს 4 ადამიანი დაიღუპა

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ მარადიდში, მდინარე ჭოროხზე ჯომარდობის დროს ოთხი ადამიანი დაიღუპა.

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ინფორმაციით, დაღუპულებს შორის საქართველოს ერთი მოქალაქეა, სამი კი რუსეთის ფედერაციის.

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში შეტყობინება მას შემდეგ შევიდა, რაც ადგილობრივებმა ამოტრიალებული ნავი შეამჩნიეს. ამ დროისთვის სამაშველო-სამძებრო სამუშაოები დასრულებულია.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მომხდართან დაკავშირებით გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 116-ე მუხლით დაიწყო, რაც გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობას გულისხმობს.

რეგინფო

„ამცახარა“: „აფხაზეთის ქართველების მიმართ საშიში ავანტიურისტული პოლიტიკა ხორციელდება“

აფხაზეთში კადრების დეფიციტია

მარიამ მჭედლიშვილი

ოჯუპიხებუე აფხაზეთში უამჰავი გადაუჭჩეეი ჰჩობეემაა. ვეჩ სჩუედება ბიუჯეტი, ჩომეის ფოჩმიჩებაში გადამწყვეტია ჩუსეთის სუბსიდიები, ჯჩიზისია ყვეეა სფეჩოში. აფხაზეთის საოჯუპაცეო ჩეეიმის ოპოზიცია შექმნიე სიტუაციაში ხაჯიმბასა და მის გუნდს ადანაშაუეებს.

თემა, რომლის წამოწევასაც ადრე ოპოზიცია ერიდებოდა, აფხაზეთში მცხოვრები ქართველების სამართლებრივი სტატუსია. დე ფაქტო პრეზიდენტ ხაჯიმბას გადაწყვეტილებით, ქართველებს აფხაზეთში ბინადრობის მოწმობებს სთავაზობენ, რაც მათ საკუთრების დაკანონების საშუალებასაც არ აძლევს.

„ამცახარას“ ლიდერი ალხას კვიცინია ამ დღეებში ყრილობაზე ამ მტკივნეულ საკითხსაც შეეხო. მისი თქმით, განსასაზღვრია გალში, ტყვარჩელსა და ოჩამჩირეში მცხოვრები ქართველების სამართლებრივი სტატუსი. აფხაზეთის დღევანდელი ხელისუფლება მათ მიმართ საშიშ ავანტიურისტულ პოლიტიკას ახორციელებს.

ხაჯიმბას ოპონენტს არ დაუკონკრეტებია, როგორ ხედავს აფხაზეთის შევიწროებული ქართველობის პრობლემების გადაჭრას. იგი ქართველების მდგომარეობის გამოსწორების აუცილებლობაზე ალაპარაკდა.

„ამცახარა“ აცხადებს, რომ ხელისუფლების დამხობას არ აპირებს, ამასთან, დასძენს, რომ ხაჯიმბას ვერ უშველის ახალი მოიერიშე ქვედანაყოფი.

აფხაზეთის საზოგადოება ახალი სპეცრაზმის შექმნას კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა და აცხადებდა, რომ ხაჯიმბას კიდევ ერთი ძალოვანი სტრუქტურა საკუთარი ხალხის წინააღმდეგ გამოსაყვანად სჭირდება. საოკუპაციო რეჟიმმა საზოგადოების მოთხოვნა არ შეისმინა.

ალხას კვიცინიას თქმით, ხაჯიმბას დაპირებები ღრმა რეფორმები, სამუშაო ადგილები, მაღალი ხელფასები და ღირსეული პენსიები იყო. ამის მაგივრად აფხაზეთში სტრატეგიული ხასიათის გადაუწყვეტელი პრობლემებია:

– აფხაზეთი გადაქცეულია ქვეყნად ნულოვანი ეკონომიკით, მძიმე სოციალური მდგომარეობით, ენერგეტიკული კრიზისითა და გახლეჩილი საზოგადოებით. ხაჯიმბას ერთ-ერთი უმძიმესი შეცდომაა მორატორიუმის გამოცხადება ინვესტიციებზე ელექტროენერგეტიკულ სექტორში. იზრდება კონფლიქტები რუსეთის ინვესტორებთან. ტურისტები ნაკადი ყოველწლიურად იკლებს. ხელისუფლება ვერ უზრუნველყოფს მათ უსაფრთხო და კომფორტულ დასვენებას.

ეკონომიკაში შექმნილი კოლაფსიდან გამოსავალს სხვებიც ეძებენ. მოსკოვის აფხაზური დიასპორისა და აფხაზ-აბაზინელთა მსოფლიო კონგრესის მიერ ორგანიზებული ფორუმი აფხაზეთში ინვესტორებისა და მუშახელის მოზიდვას მიეძღვნა.

ფორუმზე ითქვა, რომ აფხაზეთში კადრების დეფიციტია. ეს ეხება როგორც ბიზნესმენებს, ისე მომავლის ტექნოლოგიების სპეციალისტებსა და მეეზოვეებს.

ნებისმიერ ჩამოსულს, მათ შორის ინვესტორებს რუსეთიდან, აიძულებენ, წელიწადში ერთხელ გაიარონ შემოწმება ნარკოლოგთან. რუსეთის მოქალაქეები აფხაზეთში უვიზოდ შედიან. იმათ, ვისაც სავიზო რეჟიმი ეხება, ვიზებს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ ექვს-ექვსი თვით აძლევენ, რაც აბრკოლებს მათ საქმიანობას.

– მთავარია, შეიქმნას სწორი საინვესტიციო კლიმატი. ამ შემთხვევაში ბევრი ინვესტორი თვითონ წარმოადგენს თავის საინტერესო ხედვებსა და გადაწყვეტილებებს, – აცხადებს მოსკოვის აფხაზური დიასპორის თავმჯდომარე ბესლან აგრბა.

შეკრებილების აზრით, ინვესტორებს აფხაზეთში უსაფრთხოება და კომფორტი უნდა შეუქმნან. ისინი არ უნდა გრძნობდნენ აგრესიას.

ცოტა ხნის წინ ხაჯიმბამ ერთი ინვესტორი გერმანიიდან მიიღო. გერმანელმა სტუმარმა აფხაზეთში თანხების დაბანდების სურვილი გამოთქვა.

აფხაზეთში ინვესტირებას არ ესწრაფვიან ქვეყნები, რომლებმაც აფხაზეთის „დამოუკიდებლობა“ აღიარეს – ნიკარაგუა, ნაურუ, ვენესუელა და სირია.

„სტაიანშიკების“ აღრიცხვა და რეგულირება — რა იდეით მიმართავს მოქალაქე მერიას

თბილისის მერიის ვებგვერდზე ქალაქის განვითარების შესახებ მოქალაქეთა იდეების მიღება მიმდინარეობს. ამ ეტაპზე ვებგვერდზე 125 მიმდინარე, 150 დაბლოკილი, 440 არშემდგარი იდეა ფიქსირდება. 8 იდეა განხილვის პროცესშია, ორი კი უკვე შეთანხმებულია.

მიმდინარე განცხადებებიდან ერთ-ერთი იდეის ავტორი თბილისში „სტაიანშიკების“ რეგულირებას ითხოვს.

– თბილისში მანქანის გასაჩერებლად პარკირების ადგილას გაურკვეველ ადამიანს, ვისაც ფოსფორისფერი ჟილეტი აცვია, 0,2-დან – 2 ლარამდე თანხა უნდა გადაუხადო. ფულის გადახდის ეს პროცესი აბსოლუტურად უკანონოა. „სტაიანშიკი“ იღებს უკანონო შემოსავალს, რომლის აღრიცხვა – რეგულაცია არ ხდება.

გთავაზობთ გამოსავლის 2 ვარიანტს: 1. აიკრძალოს „სტაიანშიკობა“ და ეს გაჭირვებული ადამიანები დავტოვოთ შემოსავლის გარეშე. კანონი გვაძლევს ამის საშუალებას, რადგან ისინი არალეგალურად ოპერირებენ და ფულს სძალავენ მოსახლეობას ფსიქოლოგიური ზეწოლის და ფოსფორისფერი ჟილეტის საშუალებით;

2. აღირიცხოს ყველა „სტაიანშიკი“ და მიეცეთ სპეციალური მოწმობები, რომელიც თან ექნებათ მუშაობისას, რაც უზრუნველყოფს მძღოლების ნდობას. მიენიჭოთ მათ იურიდიული სტატუსი (მიკრომეწარმე, ინდ. მეწარმე და ა.შ.), ასევე სიმბოლურად დაუწესდეთ მოწმობის ფლობის ყოველთვიური გადასახადი 10 ლარი, რომ კანონის ფარგლებში მოექცეს მათი საქმიანობა. განისაზღვროს მაქსიმალური ფასი პარკირების დროს გადასახდელი თანხის(მაგალითად, 0,2 ლ-დან 0,5 ლ-მდე). ეს

რეგულაციები მოაქცევს ქუჩაში ყოველდღიურად მიმდინარე უკანონობას კანონის ფარგლებში და ასევე მძღოლები დავზოგავთ დროს და ნერვებს, – აღნიშნულია მოქალაქის განაცხადში.

აღნიშნულ იდეაზე ხმის მიცემის ვადა 2018 წლის 31 ივლისამდეა.

ბპნ

სესხის ნაცვლად ლიზინგი — ეროვნული ბანკის ახალი რეგულაციების შედეგი ავტობიზნესზე

ეროვნული ბანკის მიერ დაწესებულმა რეგულაციებმა, რომლის მიხედვითაც კომერციულ ბანკებს კლიენტის გადახდისუნარიანობის, მისი შემოსავლებისა და ხარჯების დეტალური ანალიზის გარეშე, სესხის გაცემა ეკრძალებათ, გავლენა ავტობიზნესზეც

მოახდინა.

როგორც „ბიზნესპრესნიუსთან“ საუბრისას მსხვილი ავტოიმპორტიორები აცხადებენ, იყო ცალკეული შემთხვევები, როდესაც მყიდველს სესხი არ მისცეს და მან მანქანა ლიზინგით გაიყვანა.

როგორც ცნობილია, მიმდინარე წლის 7 მაისიდან მომხმარებელთა გადამხდელუნარიანობის სრულფასოვანი ანალიზის გარეშე კომერციულ ბანკებს სესხების გაცემა შეეზღუდათ. ეს იმას გულისხმობს, რომ თვითდასაქმებულებს – ძიძებს, რეპეტიტორებს, ტაქსის მძღოლებს, პროფილაქტიკის ხელოსნებს, რომელთა შემოსავალიც ოფიციალურად არ ფიქსირდება, სესხის მისაღებად დამატებითი დოკუმენტაციის წარდგენა სჭირდებათ.

„ბიზნესპრესნიუსი“ უკვე წერდა, რომ ამან გარკვეული ნეგატიური გავლენა ბიზნესებზე უკვე მოახდინა. შეუმცირდათ გაყიდვები დეველოპერებს და ტექნიკის მაღაზიებს.

ახალმა რეგულაციებმა გავლენა უკვე მოახდინა ავტობიზნესზეც. როგორც საქართველოს ერცედეს-ის წარმომადგენლობის „აკა მერსედესის“ გაყიდვების მენეჯერმა სალომე გაბელიამ „ბიზნესპრესნიუსთან“ საუბრისას განაცხადა, პირველ ეტაპზე ამ კანონს გაყიდვებზე სერიოზულად არ უმოქმედია.

– იმ მომხმარებელს, რომელიც თავის შემოსავლებს ვერ ადასტურებს და სესხს ვერ იღებს, შეუძლია ავტომობილი ლიზინგით გაიყვანოს. მცირე პრობლემები შექმნა სესხის დამტკიცების პროცედურამ, ზოგიერთ მომხმარებელს სურს, რომ განვადება სწრაფად დაუმტკიცდეს, ახალი კანონით კი ეს პროცედურა დროში ჭიანურდება. როდესაც ბანკი შემოსავლების დადასტურებას ითხოვს, ჩვენ გვიწევს ფინანსურის განხილვა, ამას დღენახევარი მაინც სჭირდება. აქამდე კი 15-20 წუთი სჭირდებოდა.

ზოგადად, ეს წესი ძირითადად იმ სეგმენტზე მოქმედებს, ვისაც ფინანსები ბანკში არ უდასტურდება. რამდენიმე შემთხვევა გვქონდა, როცა სესხი არ დაუმტკიცდათ და მათ ლიზინგი გააკეთეს. თუმცა, გამორიცხული არ არის, რომ რეგულაციები მომავალში ლიზინგსაც შეეხოს და წესები სალიზინგო კომპანიებსაც გაუმკაცრონ, – აღნიშნა გაბელიამ.

ამასთან, გაბელაიას თქმით, „აკა-მერსედესში“ ავტომანქანების ფასი დაახლოებით 30-70 ათასი ევრო ღირს, ავტომანქანების 70% კი განვადებით იყიდება.

ავტომობილების არა, მაგრამ მანქანების ნაწილებზე ბანკების მიერ დამტკიცებული განვადებების წილი შეუმცირდა „თეგეტა მოტორსს“. როგორც კომპანიის გენერალური დირექტორი გიორგი მშვილდაძე „ბიზნეს-პრენიუსთან“ საუბრისას აცხადებს, ახალ რეგულაციებს ავტომობილების გაყიდვაზე არ უმოქმედია, რადგან ავტომობილების ღირებულება მაღალია და შემოსავალი თუ არ უდასტურდება ადამიანს, ვერ იყიდის. რაც შეეხება წვრილ განვადებებს, ვგულისხმობ მანქანის ნაწილებს, მაისში ეს რაოდენობა 22% -დან 16%-მდე შემცირდა.

– ახალი რეგულაციებიდან ჯერ ერთი თვე გავიდა, ამიტომ ზუსტად ვერ ვიტყვით, რა გავლენა მოახდინა მან ჩვენს ბაზარზე. დაველოდებით მომავალ თვეებს, – აღნიშნა მშვილდაძემ.

ბპნ

გიორგი ბახტურიძე: „500-მდე შემოწმებული ობიექტიდან 92 პროცენტი თამბაქოს მოწევის აკრძალვის მოთხოვნას იცავს“

„თამბაქოს კონტროლის ალიანსის“ მიერ შემოწმებული 500-მდე ობიექტიდან 92 პროცენტი თამბაქოს მოწევის აკრძალვის შესახებ კანონის მოთხოვნას იცავს. კანონის აღსრულების ეფექტიანობაზე პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის სხდომაზე ალიანსის ხელმძღვანელმა, გიორგი ბახტურიძემ ისაუბრა.

– მოწევის აკრძალვის მიმართულებით აღსრულების მექანიზმი საკმაოდ კარგად მიმდინარეობს. დაახლოებით 500 ობიექტი შევამოწმეთ საქართველოს მასშტაბით და 92 პროცენტი იცავდა კანონს. დარღვევების 8 პროცენტი კი, მოწევის ნაწილს იმდენად არ მოიცავს, რამდენადაც ობიექტებზე ამკრძალავი ნიშნების არ ქონას. მსგავსი დარღვევები უფრო გამოიკვეთა, ვიდრე მოწევის ფაქტები. მოწევის ფაქტები უფრო დაფიქსირებული იყო სასკოლო და სახელმწიფო დაწესებულებებში, მათ შორის თეატრებში. ჩემი ინფორმაციით, უკვე თეატრებმაც იღეს ყურად ის ინფორმაცია, რომ ისინი არღვევდნენ როგორც რეკლამის შესახებ კანონს, ისე თამბაქოს შესახებ კანონსაც, – განაცხადა ბახტურიძემ.

ამასთან, მისი შეფასებით, პრობლემა იკვეთება სარეკლამო თვალსაზრისით – გარე რეკლამა აიკრძალა, თუმცა სავაჭრო ობიექტების შიგნით რეკლამა თავსდება და ამ საკითხს მუნიციპალიტეტების ზედამხედველობის სამსახურებმა უნდა მიაქციონ ყურადღება.

– ამიტომ მოვუწოდებ ადგილობრივი ხელისუფლებას, ეს ეხება ყველა მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის სამსახურს, აუცილებლად გაატარონ კანონით დაკისრებული მოვალეობები. ხდება ამ საკითხის სპეციალურად უმეთვალყურეოდ დატოვება. მოვითხოვთ, ზედამხედველობის სამსახურები შევიდნენ სავაჭრო ობიექტებში და ყველა სახის რეკლამაზე მოახდინონ რეაგირება.

3.000 ლარიანი ჯარიმაა გათვალისწინებული იურიდიული პირებისათვის და ყველა ობიექტი დააჯარიმონ, – განაცხადა გიორგი ბახტურიძემ.

ამასთან, როგორც კომიტეტის სხდომაზე აღინიშნა, შს სამინისტროს ინფორმაციით, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში მოწევის აკრძალვის შედეგად, მაისიდან დღემდე, დაჯარიმებულია 25 იურიდიული და 78 ფიზიკური პირი.

საქართველოში თამბაქოს მოხმარებაზე შეზღუდვები და წესის დარღვევისთვის გათვალისწინებული ჯარიმები მიმდინარე წლის პირველი მაისიდან ამოქმედდა. კანონმდებლობით, თამბაქოს მოწევა აკრძალულია ნებისმიერი დანიშნულების შენობა-ნაგებობაში, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, საზოგადოებრივ ტრანსპორტში და სტადიონზე. თამბაქოს მოწევა ნებადართულია რამდენიმე სახის შენობა-ნაგებობაში, მათ შორის „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად გაცემული ნებართვის საფუძველზე მოწყობილ სიგარაბარსა და სამორინეში.

1ტვ-ზე

გუდაური სამჯერ გაიზრდება

დღევანდელი გუდაური გაიზრდება სამჯერ, მაგრამ ეს იქნება კანონზომიერად დაგეგმილი და განვითარებული კურორტი, სადაც იქნება ყველა საჭირო სივრცე, არა მხოლოდ მოსრიალეთათვის; ის ასევე უპასუხებს მსოფლიოში არსებულ დღევანდელ ტრენდს, რაც გამოიხატება იმაში, რომ სათხილამურო კურორტებზე არამოთხილამურეთა სტუმრობა ძალიან სწრაფი ტემპით იზრდება, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა მთავრობის გუშინდელ სხდომაზე განაცხადა, რომელზეც გუდაურის ქალაქმშენებლობითი დოკუმენტაცია დამტკიცდა.

პრემიერის შეფასებით, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ქვეყნის სწორ სივრცით განვითარებას, განსაკუთრებით, ზამთრის კურორტებზე, რათა არ იყოს სტიქიური განვითარება და თავიდანვე სწორად დაიგეგმოს – არსებობდეს საცხოვრებელი ზონა, საჭირო რაოდენობით პარკინგი, საფეხმავლო ზონები, სავაჭრო-გასართობი სივრცეები.

– სტიქიურად, მხოლოდ და მხოლოდ დეველოპერების ბიზნესინტერესებზე დაყრდნობით ამის მიშვება არასწორ შედეგს მოგვცემს. ვფიქრობ, ის სამუშაო, რომელიც მთავრობამ განახორციელა კანადურ კომპანია ECOSIGN-თან ერთად, გვაძლევს საშუალებას, გეგმაზომიერად განვავითაროთ უმნიშვნელოვანესი კურორტი გუდაური, – განაცხადა პრემიერმა.

გიორგი კვირიკაშვილის თქმით, კურორტის გეგმის შესაბამისად განვითარება კიდევ უფრო მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებით, რომ 2023 წელს საქართველო, კერძოდ გუდაური და ბაკურიანი თხილამურითა და სნოუბორდით თავისუფალი სტილით სრიალში მსოფლიო ჩემპიონატს უმასპინძლებს.

გუდაური სამ ტერიტორიად იყოფა. ესენია:

1. ცენტრალური გუდაური

2. ახალი გუდაური, რომელიც იქნება კურორტის მთავარი საფეხმავლო ცენტრი. ასევე, საკურორტო დასახლების შენობების პირველ სართულებზე სავალდებულო წესით განთავსდება ტურისტული ინფრასტრუქტურა, მათ შორის, მოთხილამურეთა მომსახურების ცენტრები, სავაჭრო დაწესებულებები, კვების ობიექტები, დასასვენებელი სივრცეები, საკონფერენციო დარბაზები და ა.შ;

3. კობი-გუდაურის საბაზო არეალი, რომელიც გააუმჯობესებს წვდომას გუდაურის სათხილამურო არეალთან და სტეფანწმინდის მოსახლეობასა და ჩრდილოეთის მხრიდან შემომავალ ტურისტებს მისცემს საშუალებას, მიუხედავად კლიმატური პირობებისა, დიდი ამწეობის საბაგირო გონდოლის მეშვეობით, რომლის მშენებლობა წელს იწყება, ძალიან მარტივად მოხვდნენ კურორტის სასრიალო სივრცეში, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

გიორგი კვირიკაშვილის თქმით, მომავალში ტრასების განვითარება იგეგმება ასევე ჩრდილოეთის ფერდობზე, რადგან ჩრდილოეთის ფერდობს, მზის მიდგომის გათვალისწინებით, თოვლის გაცილებით უფრო ხანგრძლივად შენარჩუნების პოტენციალი აქვს.

– მოკლედ რომ ვთქვათ, დღევანდელი გუდაური გაიზრდება სამჯერ, მაგრამ ეს იქნება კანონზომიერად დაგეგმილი და განვითარებული კურორტი, სადაც იქნება ყველა საჭირო სივრცე, არა მხოლოდ მოსრიალეთათვის. ის ასევე უპასუხებს მსოფლიოში არსებულ დღევანდელ ტრენდს, რაც გამოიხატება იმაში, რომ სათხილამურო კურორტებზე არამოთხილამურეთა სტუმრობა ძალიან სწრაფი ტემპით იზრდება. ბევრ წამყვან კურორტზე, ნახევარს აჭარბებს იმ ადამიანთა რიცხვი, რომლებიც უბრალოდ ახალი წლის გასატარებლად, დასასვენებლად მიდიან და არა მხოლოდ ზამთარში, არამედ მთელი წლის განმავლობაში. ეს არის არა მხოლოდ ტურისტებისთვის, არამედ გუდაურში, მიმდებარე სოფლებისა და სტეფანწმინდის მცხოვრებლებისთვის ოთხსეზონიანი დატვირთვა და შემოსავალი, – აღნიშნა გიორგი კვირიკაშვილმა.

პრემიერ-მინისტრმა იმ ცვლილებებზეც ისაუბრა, რომლებიც ადგილობრივი პროდუქციის რეალიზაციას წაახალისებს.

– იმ საკანონმდებლო ცვლილებებით, რომლებიც განვახორციელეთ მცირე ბიზნესისთვის და კიდევ ვახორციელებთ, გაცილებით უფრო მარტივი იქნება ადგილობრივი პროდუქციის რეალიზაცია ადგილობრივ რესტორნებსა და სასტუმროებში. შევქმნით, სპეციალურ სტიმულებს, რომ განსაკუთრებით წავახალისოთ ადგილობრივი პროდუქციის შესყიდვა იქაური ტურისტული ობიექტების მიერ. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი ცვლილება.

იმ გუდაურში, რომელსაც ჩვენ ვავითარებთ, ტრასაზე ერთდროულად შესაძლებელია იდგეს 14 250 მოთხილამურე. ეს არის ძალიან სერიოზული პოტენციალი მთლიანად რეგიონისთვის და ეს ტენდენცია, რა თქმა უნდა, გაგრძელდება. შესაბამისი ფინანსური სახსრები გამოყოფილია და ეს პროექტი კერძო სექტორთან პარტნიორობით განვითარდება, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა და აღნიშნა, რომ მთის განვითარებას მომავალშიც განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა.

კომერსანტი

პაციენტს, რომელსაც ექიმი 5 და მეტ მედიკამენტს დაუნიშნავს, დანიშნულების გადამოწმების საშუალება ეძლევა

– საჭიროზე მეტი მედიკამენტის გამოწერის პრობლემა არა მარტო საქართველოში, მთელ მსოფლიოშია, რის გამოც ჯანდაცვის სამინისტრომ პოლიფარმაციის პრევენციასთან დაკავშირებით რეგულაციის ამოქმედების გადაწყვეტილება მიიღო. ამის შესახებ ჟურნალისტებს ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე მაია ლაგვილავამ განუცხადა. მაია ლაგვილავამ ჟურნალისტებთან საუბრისას რეგულაციის შინაარსზეც ისაუბრა.

– ჩავატარეთ კვლევა როგორი მედიკამენტების მოხმარება ხდებოდა უფრო ხშირად, რომლის თანახმადაც გამოვლინდა, რომ 65 წელს ზემოთ ძალიან მაღალი იყო მედიკამენტების გამოყენების შემთხვევები და ასევე ჯიბიდან გადახდების წილი ამ მედიკამენტებზე იყო ასევე მაღალი. ეს საკითხი აქტუალურია არა მხოლოდ საქართველოსთვის, ევროპისთვისაც. 11% არაგეგმური ჰოსპიტალიზაციის სწორედ ამ პრობლემას უკავშირდება. საქართველოში ჰოსპიტალიზაციის ასეთი შემთხვევები დათვლილი არ გვაქვს, თუმცა, ახლა მოხდება ამ საკითხის შესწავლა მომართვიანობის საფუძველზე, – განაცხადა ლაგვილავამ.

ასევე, მინისტრის მოადგილემ განმარტა, რომ ნებისმიერი პაციენტს, რომელსაც ექიმი დაუნიშნავს 5 და მეტ მედიკამენტს, ექნება საშუალება, გადაამოწმოს თავისი დანიშნულება.

რა თქმა უნდა, თუ ექიმის მიერ მისთვის მიცემული პასუხი არ იქნება მისთვის დამაკმაყოფილებელი და კომპეტენტური, შეუძლია მიმართოს ჯანდაცვის სამინისტროს. ამისთვის არსებობს რამდენიმე ხერხი. ექიმები მუშაობენ ელექტრონული რეცეპტის სისტემაში, მათ მიერ გაცემული დანიშნულება იტვირთება სამინისტროს პორტალზე. ახლა ჩნდება დანიშნულებაში ღილაკი, რომელზე დაჭერის შემთხვევაშიც, დანიშნულება პირდაპირ გენერირდება და მოხვდება პოლიფარმაციის საკითხებთან დაკავშირებულ კომისიაზე. სამი დღის ვადაში პაციენტს იგივე ელექტრონული პორტალის საშუალებით დაუბრუნდება პასუხი, სადაც იქნება მხოლოდ ორი წინადადება დაწერილი – დანიშნულება ექვემდებარება გადახედვას, ან დანიშნულება არ საჭიროებს გადახედვას. თუ დანიშნულება საჭიროებს კორექტირებას, პაციენტს შეუძლია მიმართოს მკურნალ ექიმს და მოითხოვოს განმარტება. თუ კვლავ არ დააკმაყოფილებს ექიმის პასუხი მას კიდევ ერთხელ აქვს საშუალება ატვირთოს პორტალზე თავისი დანიშნულება. ასეთ შემთხვევაში კომისია ექიმისგან გამოითხოვა განმარტებას, თუ რატომ არ მოხდა დანიშნულების კორექტირება. თუ პასუხი დამაკმაყოფილებელი არ იქნება ექიმის დაბარება და მისი კვალიფიკაციის გადახედვა მოხდება, რათა მოხდეს ამ დანიშნულების გადახედვა, – განმარტა ლაგვილავამ და დასძინა: რეგულაცია მიმართული არ არის იმისკენ, რომ ექიმმა დანიშნულების დაწერისგან თავი შეიკავოს.

სურსათის ეროვნულმა სააგენტომ 21.600 არაეტიკეტირებული კვერცხი დალუქა

სურსათის ეროვნული სააგენტო სახელმწიფო კონტროლის ფარგლებში კვერცხის საბითუმო-სარეალიზაციო ობიექტებს ამოწმებს.

როგორც სურსათის ეროვნულ სააგენტოში აცხადებენ, სააგენტოს თბილისის საქალაქო სამსახურის ინსპექტორებმა ეტიკეტირების წესის დარღვევის ფაქტი გამოავლინეს შპს „კრეატივი+“-ში, სადაც 21.600 არაეტიკეტირებული კვერცხი აღმოჩნდა.

საეჭვო წარმომავლობის კვერცხი დაილუქა და ბიზნესოპერატორს მისი განადგურება დაევალა, რაზეც ზედამხედველობას სურსათის ეროვნული სააგენტო განახორციელებს. 2013 წლის მაისში „ცხოველური წარმოშობის სურსათის ჰიგიენის სპეციალური წესის შესახებ“ 90-ე დადგენილებაში შეტანილი ცვლილებების თანახმად, განისაზღვრა კვერცხის სავალდებულო ეტიკეტირების წესი, რაც ბიზნესოპერატორს ავალდებულებს, სარეალიზაციოდ განთავსებულ კვერცხზე მიუთითოს კვერცხის წარმოშობის ქვეყანა და წარმოების თარიღი.

კომერსანტი

გიორგი ჩოგოვაძე: „საერთაშორისო ვიზიტორების დათვლა ახალი მეთოდით მოხდება“

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ საერთაშორისო ვიზიტორების მახასიათებლების კვლევის პრეზენტაცია გამართა.

როგორც ღონისძიებაზე ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა გიორგი ჩოგოვაძემ განმარტა, ახალი სტანდარტების მიხედვით, ტურისტების აღრიცხვა მათი დასრულებული ვიზიტებით მოხდება, რომელიც ორ ნაწილად გაიყოფა.

მაგალითად, ვიზიტი, რომელიც მოიცავს ღამისთევას, არის ტურისტული, დანარჩენი კი ითვლება ერთდღიან ვიზიტებად. საერთაშორისო მოგზაურობის ვიზიტებს დაემატა სხვა ქვეყნის რეზიდენტი საქართველოს მოქალაქეების ვიზიტები.

ანგარიში ყოველ კვარტალურად ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ვებგვერდზე გამოქვეყნდება.

1ტვ.ge

100 ათას ლარამდე ნივთის განვადებისას ფასის უცხოურ ვალუტაზე მიბმა დასჯადი ხდება

100 ათას ლარამდე ნივთის განვადებისას ფასის უცხოურ ვალუტაზე მიბმის შემთხვევაში ჯარიმები წესდება. ამის შესახებ ფინანსთა სამინისტროს მიერ მომზადებულ კანონპროექტშია აღნიშნული, რომელიც პარლამენტში უკვე წარდგენილია. „სამოქალაქო კოდექსში“ დაგეგმილი ცვლილებების თანახმად, 100.000 ლარამდე ნივთის განვადებისას ფასი არ უნდა იყოს ნებისმიერი ფორმით უცხოურ ვალუტაზე მიბმული ან ინდექსირებული. იგივე შეზღუდვა ვრცელდება ლიზინგზეც. კერძოდ, დაგეგმილი ცვლილებებით, თუ ლიზინგის მთლიანი საზღაური 100.000 ლარს არ აღემატება, საზღაურის მიღება არ უნდა იყოს ნებისმიერი ფორმით უცხოურ ვალუტაზე მიბმული ან ინდექსირებული.

აღსანიშნავია, რომ ორივე სამართალდარღვევისთვის პირი პირველ ჯერზე გაფრთხილდება, 30 კალენდარული დღის ვადაში სამართალდარღვევის საფუძვლის აღმოუფხვრელობის შემთხვევაში კი 1.000 ლარით დაჯარიმდება. ამასთან, თუ დაჯარიმებიდან 30 დღეში სამართალდარღვევის საფუძველი კვლავ არ იქნება აღმოფხვრილი, სამართალდამრღვევი განმეორებით 1.000 ლარით დაჯარიმდება.

– ამასთან, კონკრეტდება, რომ სამართალდარღვევის საფუძვლის აღმოფხვრად ჩაითვლება მხარეთა შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების შეწყვეტა ან ნასყიდობის ხელშეკრულების იმ ნაწილის ცვლილება, რომელიც არღვევს შესაბამისი მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, – აღნიშნულია პროექტის განმარტებით ბარათში.

ბპნ

ინფლაცია 20 ლარით გაზრდილ პენსიასაც „შეჭამს“

2019-2020 წლებში პენსიონერები 20-20 ლარით გაზრდილ პენსიებს მიიღებენ. რას ემსახურება ხელისუფლების გათვლა, როცა ქვეყანაში ფასები სურსათსა და მედიკამენტებზე განუხრელად იზრდება.

– 20 ლარით გაზრდილი პენსია ჩემთვის არაფერს შეცვლის. ეს ზრდა სასაცილოა. ვიდრე პენსია გაგვეზრდება, ფასები 100%-ით მოიმატებს, – ამბობს „კომერსანტთან“ საუბარში პენსიონერი გულიკო შაფათავა.

პენსიონერი 180-ლარიანი პენსიით პირველ რიგში კომუნალურ გადასახადებს ფარავს, შემდეგ კი მედიკამენტებს ყიდულობს: „გასულ თვეს, როცა ყველა ხარჯი დავფარე, პენსიიდან 20 ლარი დამრჩა. საკვების ყიდვაში შვილები დამეხმარნენ“.

საქსტატის მონაცემებით. 2018 წლის მაისში წლიური ინფლაციის დონემ 4,9% შეადგინა. ერთი წლის განმავლობაში სურსათი 1,8%-ით, ტრანსპორტი 3,4%-ით, კომუნალური გადასახადები 4,7%-ით, ჯანმრთელობის დაცვა 4,3%-ით გაძვირდა.

– იმის გათვალისწინებით, რომ ინფლაციის ზრდა პერმანენტული პროცესია და ამ კატეგორიის მოსახლეობისათვის ფასების ზრდა ინფლაციის ოფიციალურ დეკლარირებულ მაჩვენებელზე უფრო მაღალია, პენსიის ზრდა რეალური ვერ იქნება. პროდუქტებზე, რომლის ძირითადი მომხმარებლები არიან პენსიონერები, ფასები უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე საშუალოდ. მაგალითად, სურსათი და მედიკამენტები უფრო სწრაფად ძვირდება ვიდრე ინფორმაციული ტექნოლოგიები. ყურადღებით უნდა მოხდეს ხელისუფლების მხრიდან პენსიის ზრდა. უნდა გაითვალისწინონ როგორ იზრდება ინფლაცია, – ამბობს ეკონომიკის დოქტორი, სოსო არჩვაძე.

2018 წელს პენსიების ზრდა არ იგეგმება. პენსიები საქართველოში ბოლოს 2016 წლის აგვისტოში გაიზარდა. საქართველოს მთავრობა უკვე 2018 წლის ზაფხულში დაგროვებითი საპენსიო სისტემის ამოქმედებას გეგმავს, რომელიც სავალდებულო იქნება 40 წელს ქვემოთ პირებისთვის და არჩევითი – 40 წელს ზემოთ პირებისთვის.

ოფიციალურად, საქართველოს კანონმდებლობით, ქალებისთვის საპენსიო ასაკი განსაზღვრულია 60 წლის ასაკიდან, მამაკაცებისთვის კი – 65 წლიდან. ჩვენს მეზობელ ქვეყნებში კი მდგომარეობა ასეთია:

აზერბაიჯანში საშუალო პენსია 210 მანათია, ანუ დაახლოებით 300 ლარი. ამ ქვეყანაში მამაკაცებისთვის საპენსიო ასაკი 63 წელია, ქალებისთვის – 60;

სომხეთში, სადაც საპენსიო ასაკი ქალებისა და მამაკაცებისთვის 63 წელია, საშუალო პენსია დაახლოებით 85 დოლარს შეადგენს (208ლ);

თურქეთში მამაკაცები პენსიაზე 60 წლის შესრულების შემდეგ გადიან, ქალები – 58 წლის შემდეგ. ამ ქვეყანაში საშუალო პენსია დაახლოებით 465 დოლარია, ანუ 1139 ლარი.

პენსიების ზრდის შესახებ პარლამენტში ფინანსთა მინისტრის მოადგილე გიორგი კაკაურიძემ, ფრაქცია ნაციონალური მოძრაობის წევრებთან შეხვედრაზე ისაუბრა. გიორგი კაკაურიძის თქმით, 2019-2020 წლებში პენსიონერები 20-20 ლარით გაზრდილ პენსიებს მიიღებენ.

კომერსანტი

2019-2020 წლებში მთავრობა პენსიების გაზრდას გეგმავს

პენსიების ზრდის შესახებ პარლამენტში ფინანსთა მინისტრის მოადგილე გიორგი კაკაურიძემ ფრაქცია ნაციონალური მოძრაობის წევრებთან შეხვედრაზე ისაუბრა. გიორგი კაკაურიძის თქმით, ფინანსთა სამინისტროს პარლამენტში წარდგენილი აქვს 2019-2020 წლების საშუალოვადიანი მაკროეკონომიკური პროგნოზები, სადაც გათვალისწინებულია პენსიების მატება როგორც 2019, ასევე 2020 წლებში.

გიორგი კაკაურიძის თქმით, 2019-2020 წლებში პენსიონერები 20-20 ლარით გაზრდილ პენსიებს მიიღებენ. დღეის მდგომარეობით, ყოველთვიური პენსია 180 ლარს შეადგენს.

ბმ.ge

მირზა სუბელიანმა შსს მრავალსაათიანი გამოკითხვის შემდეგ დატოვა

მირზა სუბელიანმა შსს მრავალსაათიანი გამოკითხვის შემდეგ დატოვა 9 საათზე მეტხნიანი გამოკითხვის შემდეგ, პროკურატურის ყოფილმა მაღალჩინოსანმა მირზა სუბელიანმა შსს დატოვა.

სუბელიანის თქმით, მას გაუთქმელობის ხელწერილი აქვს დაწერილი, ამიტომ დაკითხვის დეტალებზე არ ისაუბრა.

– ვერანაირ კომენტარს ვერ გავაკეთებ. გამომძიებლებს ჰქონდათ შეკითხვები და გავეცი პასუხები. რამდენჯერაც დამიბარებენ, იმდენჯერ მოვალ. იყო დამატებითი შეკითხვები, – განაცხადა მირზა სუბელიანმა.

ხორავას ქუჩაზე ორი მოზარდი 1-ელ დეკემბერს დაჭრეს. ლევან დადუნაშვილი საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა, დავით სარალიძე კი ექიმების მცდელობისა და რამდენიმე ოპერაციის ჩატარების მიუხედავად, 2 დეკემბერს საავადმყოფოში დაიღუპა.

ხორავას ქუჩაზე მოკლული არასრულწლოვნის, ლევან დადუნაშვილის განზრახ მკვლელობაში დამნაშავედ ცნობილ გ.ბ-ს სასამართლომ 10 წელი 6 თვე მიუსაჯა, ხოლო დამამძიმებელ გარემოებაში არასრულწლოვან დავით სარალიძის განზრახ მკვლელობის მცდელობაში ბრალდებულ გ.ჯ.-ს 9 წელი და 9 თვე შეეფარდა.

შსს-ს მიერ დაკავებული მერაბ მორჩაძე ამავე საქმეზე ერთ-ერთი ბრალდებულის ნათესავია

ხორავას ქუჩაზე მომხდარ მკვლელობასთან დაკავშირებით, შსს-ს მიერ დაკავებული მერაბ მორჩაძე ამავე საქმეზე ერთ-ერთი ბრალდებულის ნათესავია.

როგორც „ინტერპრესნიუსისთვის“ გახდა ცნობილი, მერაბ მორჩაძე შსს-ს ყოფილი თანამშრომლის, თენგიზ კალანდიას ნათესავია, რომელიც ხორავას ქუჩაზე მოზარდების მკვლელობის საქმეზე დანაშაულის დაფარვაშია ბრალდებული. ამასთან, როგორც „ინტერპრესნიუსს“ თენგიზ კალანდიას ადვოკატმა განუცხადა, გამოძიებამ თენგიზ კალანდია აღნიშნულ პირთან დაკავშირებით გამოკითხა და კალანდიამ დაუდასტურა, რომ მერაბ მორჩაძე მისი ნათესავია.

– კალანდია დაკითხეს დღეს და ვესწრებოდი დაკითხვას. მერაბ მორჩაძეს იცნობს, შორეული ნათესავია, მაგრამ ათი წელია თვალით არ მინახავსო, – განაცხადა ადვოკატმა დარეჯან ბუცხრიკიძემ და აქვე დასძინა, რომ მისთვის უცნობია, რის გამო დააკავეს სამართალდამცველებმა მერაბ მორჩაძე.

„ინტერპრესნიუსისთვის“ ასევე ცნობილი გახდა ერთ-ერთი ვერსია, რის გამოც შესაძლოა, მერაბ მორჩაძე პასუხისგებაში მიეცა. მორჩაძეს გამოძიება, სავარაუდოდ, მიხეილ კალანდიაზე ზემოქმედების მოხდენას ედავება. როგორც ცნობილია, მიხეილ კალანდიამ სასამართლოში პირველი დაკითხვისას პოლიციის მხრიდან ზეწოლაზე ისაუბრა და განაცხადა, რომ მისი დაკითხვის მსვლელობისას მამამისს ფიზიკურადაც გაუსწორდნენ. ამის შემდეგ სასამართლოში პირველივე ჩვენების გაგრძელებისას (პირველი ჩვენების მიცემისას დრო ამოიწურა, შესაბამისად, აღნიშნული ჩვენების მიცემა შემდეგ დღეს გაგრძელდა) მიხეილ კალანდიამ ეს ინფორმაცია უარყო და აღნიშნა, რომ მეგობრების გადარჩენის მიზნით სასამართლოს ცრუ ინფორმაცია მიაწოდა.

ერთმანეთისგან განსხვავებული ინფორმაციების გაჟღერების შემდეგ პროკურატურამ მოწმეზე სავარაუდო ზემოქმედების ფაქტზე გამოძიება დაიწყო. აღსანიშნავია ისიც, რომ თავად მიხეილ კალანდიაც ხორავას ქუჩაზე მოზარდების მკვლელობის საქმეზე დანაშაულის შეუტყობინებლობისთვის პასუხისგებაშია მიცემული.

ხორავას ქუჩაზე მკვლელობის საქმეზე დაკავებული მერაბ მორჩაძე შინაგან საქმეთა სამინისტროში მიიყვანეს.

– არ ვიცი, რა ბრალდებით ვარ დაკავებული, გამოვალ და მერე გეტყვით. ერთ-ერთი მოზარდის ნათესავი ვარ. მართლა არაფერი ვიცი. სიმართლე, არა მგონია, რომ დაიკარგოს, – განაცხადა მერაბ მორჩაძემ შსს-ში შესვლამდე.

ავარია მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე — დაშავებულია 4 ადამიანი

თბილისში, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე ავტოავარიის დროს 4 ადამიანი მსუბუქად დაშავდა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს, რაც გულისხმობს ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას, რამაც გამოიწვია ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება.

ჩაქვის გვირაბთან, შემოვლითი გზიდან სატვირთო ავტომობილი გადმოვარდა — დაშავებულია მძღოლი

ავტოსაგზაო შემთხვევა ჩაქვში – შედეგად სატვირთო ავტომობილის მძღოლი დაშავდა. მამაკაცი სასწრაფო დახმარების ბრიგადამ სამედიცინო დაწესებულებაში გადაიყვანა.

თვითმხილველების განცხადებით, ავტოსაგზაო შემთხვევის დროს სატვირთო ავტომობილი შემოვლით გზაზე გადაადგილდებოდა და ფერდობზე გადმოვარდა.

ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლით დაიწყო, რაც სატრანსპორტო მოძრაობისას წესების დარღვევას გულისხმობს.

ზაზა სარალიძე: „მქონდა იმედი, რომ გონს მოვიდოდნენ და მირზა სუბელიანს ბრალდებას წაუყენებდნენ“

– მქონდა იმედი, რომ გონს მოვიდოდნენ და მირზა სუბელიანს ბრალდებას წაუყენებდნენ, – ამის შესახებ ხორავას ქუჩაზე მოკლული დავით სარალიძის მამამ ზაზა სარალიძემ „ტვ პირველის“ ეთერში მას შემდეგ განაცხადა, რაც პროკურატურის ყოფილმა მაღალჩინოსანმა მირზა სუბელიანმა 9-საათიანი გამოკითხვის შემდეგ შსს დატოვა.

სარალიძის თქმით, როგორც მინიმუმ, სუბელიანმა ნახა მკვლელი კალანდიების ოჯახში და სამართალდამცველ სტრუქტურებს არ შეატყობინა. მისივე თქმით, მის მიერ ხელისუფლებისადმი წაყენებული მოთხოვნა 10 ივნისამდე დამნაშავეების დასჯის შესახებ ძალაში რჩება, წინააღმდეგ შემთხვევაში საპროტესტო აქციები გაგრძელდება.

– რას ჰქვია გაუთქმელობაზე ხელის მოწერა, მე ვეღარ ვხვდები. პირიქით, საზოგადოება დაინტერესებულია, რა ხდება და რასთან დაკავშირებით მიდიოდა მირზა სუბელიანის დაკითხვა. მე მაგათთვის ულტიმატუმი არ წამიყენებია, რომ ჩუმად აწარმოონ ეს საქმე. 6 თვე ჩუმად აწარმოეს და შედეგიც მივიღეთ. გაუთქმელობაზე კი არა, თვითონ შს მინისტრმა გააკეთოს ბრიფინგი, რასთან დაკავშირებით იკითხებოდა მირზა სუბელიანი და რა გამოიკვლიეს, – განაცხადა სარალიძემ.

მირზა სუბელიანმა შსს-ს დატოვების შემდეგ განაცხადა, რომ მას გაუთქმელობაზე აქვს ხელი მოწერილი და, შესაბამისად, გამოკითხვის შესახებ ვერ ისაუბრებს.

ზაზა სარალიძე პარლამენტის საგამოძიებო კომისიიდან ეკა ბესელიას აცილებას ითხოვს. როგორც ზაზა სარალიძემ ხორავას ქუჩაზე მოზარდების მკვლელობის საქმეზე შექმნილი პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის ხელმძღვანელთან, სერგი კაპანაძესთან შეხვედრის დაწყებამდე განაცხადა, ის კომისიაში მხოლოდ ეკა ბესელიას არ ენდობა. ამასთან, სარალიძის თქმით, კომისიის თავმჯდომარეს დეტალურად მიაწვდის ყველა ინფორმაციას, რაც მას ამ საქმეზე გააჩნია.

– ბესელიას გარდა ყველას ვენდობი კომისიაში. ადამიანი, რომელიც მადანაშაულებს, რომ თითქოს რომელიღაც პოლიტიკურ პარტიას მივეცი საშუალება ჩემი შვილის სულით მანიპულირების, ამ ადამიანს მე არ ვენდობი. დავაყენებ მისი კომისიიდან აცილების საკითხს. ყველა ინფორმაციას მივაწვდი კომისიას, რაც გამაჩნია დეტალებში. ძალიან დიდი იმედი მაქვს, რომ კომისია გამოავლენს ყველა იმ პირს, ვინც ეს საქმე შეკერა, – განაცხადა ზაზა სარალიძემ.

სერგი კაპანაძე: „არავის ჰქონდეს ილუზია, რომ როგორმე გააჭიანურებს საგამოძიებო კომისიის მუშაობას“

– არავის ჰქონდეს ილუზია, რომ ან თავისი პოლიტიკური პოზიციიდან, ან თავისი ეგოდან გამომდინარე, კომისიის მუშაობას გააჭიანურებენ, – ამის შესახებ ხორავას ქუჩაზე მოზარდების მკვლელობის საქმეზე დროებითი საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარემ, სერგი კაპანაძემ, კომისიის წევრ ეკა ბესელიასთან მიმართებაში ზაზა სარალიძის პოზიციის შეფასებისას განაცხადა. როგორც მან აღნიშნა, ბესელიასთან მიმართებაში ზაზა სარალიძის პოზიცია მისთვის გასაგებია და კომისიაში მის მუშაობაზე გადაწყვეტილება „ქართულმა ოცნებამ“ მიიღო.

– მე ძალიან კარგად მესმის ბატონი ზაზას დამოკიდებულება ამ საკითხის მიმართ. თავის დროზე კარგი იქნებოდა, რომ „ქართულ ოცნებას“ შესაბამისი გადაწყვეტილება მიეღო, მაგრამ ახლა კომისია გააგრძელებს მუშაობას. როგორც ზაზა სარალიძის, ასევე ჩემი პოზიციაა, რომ ჩვენ შორის თანამშრომლობა იქნება. აქედან გამომდინარე რა გადაწყვეტილებას მიიღებს ბესელია, ამას ვნახავთ. არავის ჰქონდეს ილუზია, რომ ან თავისი პოლიტიკური პოზიციიდან გამომდინარე, ან თავისი ეგოდან გამომდინარე, როგორმე გააჭიანურებენ ამ კომისიის მუშაობას. თვითონ მოუწევთ გადაწყვეტილების მიღება ბესელიასთან დაკავშირებით, – აღნიშნა სერგი კაპანაძემ.

რუსთავში ტექნიკის ერთ-ერთი მაღაზია გაქურდეს

რუსთავში „ზუმერის“ მაღაზია გაქურდეს. წაღებულია „აიფონისა“ და „სამსუნგის“ ძვირადღირებული ტელეფონები.

შსს-ს ინფორმაციით, გამოძიება დაწყებულია სსკ-ის 117-ე მუხლით, რაც ქურდობას გულისხმობს.

წყალტუბოს მერის წარმომადგენელი ქრთამის აღების ფაქტზე დააკავეს

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტმა წყალტუბოს მერის წარმომადგენელი ამირან ბალანჩივაძე ქრთამის აღების ფაქტზე დააკავა.

წყალტუბოს მერიაში ბალანჩივაძის დაკავებას ადასტურებენ, თუმცა დეტალურ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რას ედავება გამოძიება ბალანჩივაძეს, არ ფლობენ.

ქალეიდოსკოპი

ქირურგმა ბრიტანელს მალულად ამოკვეთა ორგანო და ის თვითმკვლელობამდე მიიყვანა

დიდი ბრიტანეთის მცხოვრებმა ქალბატონმა სიცოცხლე თვითმკვლელობით მას შემდეგ დაასრულა, როდესაც ქირურგმა მისი ნებართვის და სამედიცინო აუცილებლობის გარეშე ამოკვეთა საკვერცხეები.

ლიუსინდა მეტუენ-კემპბელი 2016 წელს საკვების მომნელებელი სისტემის სამკურნალო ოპერაციის გასაკეთებლად საავადმყოფოში მივიდა. ქირურგმა ენტონი დიქსონმა, რომელმაც ნაწლავების მკურნალობისთვის იმპლატანტების გამოყენებით საერთაშორისო აღიარება მოიპოვა, ქალი იმპლანტანტის ჩაყენების აუცილებლობაში დაარწმუნა. მაგრამ ოპერაციის დროს ექიმმა ქალს მისი თანხმობის გარეშე ამოკვეთა საკვერცხეები.

– მან მითხრა, ფიქრობდა, რომ ჩემთვის ასე უფრო უკეთესი იქნებოდა: „ვგონებ იცით, რომ ქალს თქვენს ასაკში საკვერცხეები აღარ სჭირდება, ამასთან ისინი ხელს მიშლიდნენ, – განუცხადა ჟურნალისტებს ოპერაციის შემდეგ 58 წლის მეტუენ-კემპბელმა.

დროთა განმავლობაში ტკივილი არა თუ კლებულობდა, არამედ მატულობდა. ამან ქალს გადაწყვეტინა, რომ სიცოცხლე თვითმკვლელობით დაესრულებინა. ქალის ცხედარი სახლის სხვენში მისმა ყოფილმა მეგობარმა მამაკაცმა აღმოაჩინა. მანამდე ქალმა მას დაურეკა და უთხრა, რომ ტკივილისგან თავის დაღწევის სხვა საშუალებას ვერ ხედავდა.

ინგლისის ჯანმრთელობის დაცვის ეროვნულმა სამსახურმა დიქსონის საქმის გამოძიება დაიწყო. მას დროებით აეკრძალა მსგავსი ოპერაციების გაკეთება.

გაქცეულ ღორებს ავტოგასამართ სადგურში მძინარეებს მიაგნეს

ავსტრალიის კვინსლენდის შტატში ორი გაქცეული ღორი ავტოგასამართი სადგურის გვერდით მძინარეები იპოვეს, რომელიც მათი პატრონის სახლიდან 800 მეტრში მდებარეობს.

ღორები სახლიდან 5 ივნისს, დაახლოებით 02:30 საათზე გაიქცნენ და ავტოგასამართი სადგურის მახლობლად გაჩერდნენ, სადაც ისინი სათვალთვალო კამერებმა დააფიქსირეს. გაქცევის შემდეგ ღორები მშვიდად ისვენებდნენ პატარა მდელოზე და მზის ამოსვლამდე წათვლემაც კი მოასწრეს.

– ვერაფრით გაგვიგია, თუ როგორ აღმოჩნდნენ ისინი ავტოგასამართ სადგურზე, ვინაიდან ახლომახლო ფერმა არ არის. ღორები მეტად მშვიდები და კეთილგანწყობილები იყვნენ. ჩვენი კლიენტები მათთან სიამოვნებით იღებდნენ ფოტოსურათებს, – განაცხადა ავტოგასამართი სადგურის ადმინისტრატორმა ტრენტ ბანმა.

ღორების პატრონმა მიკ კოჰრანმა განაცხადა, რომ მათ გარეთ ღობეში გაჩენილი ხვრელიდან გამოაღწიეს. მათი დაკარგვა მან დილით ადრე შენიშნა, როდესაც ფეისბუქზე ნაპოვნი ცხოველების თაობაზე ინფორმაცია გავრცელდა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

დონალდ ტრამპი იაპონიის პრემიერს შეხვდა

აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა თეთრ სახლში იაპონიის პრემიერი აბე მიიღო.

ჟურნალისტებთან საუბარში ტრამპმა განაცხადა, რომ მან და აბემ სინგაპურში კიმ ჩენ ინთან მომავალი შეხვედრის დეტალები განიხილეს.

– კიმ ჩენ ინთან შესახვედრად მზად ვარ, – ამბობს ტრამპი.

ანგელა მერკელი: „რუსეთის დიდი შვიდეულის რიგებში დაბრუნება გამორიცხულია!“

გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა განაცხადა, რომ რუსეთი აგრესიულ პოლიტიკას განაგრძობს, ავიწროებს მეზობლებს, იტაცებს მათ ტერიტორიებს და ა.შ. თავად რუსეთში კი დიქტატორული რეჟიმია, ირღვევა ადამიანის უფლებები, იზღუდება თავისუფალი სიტყვა.

– ასეთი ქვეყნის დიდი შვიდეულის რიგებში დაბრუნება გამორიცხულია! – განაცხადა მერკელმა.

იენს სტოლტენბერგი: „პოროშენკოს ნატოს სამიტზე აუცილებლად მოვიწვევთ!“

ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა განაცხადა, რომ ნატოს უახლოეს სამიტს უკრაინის პრეზიდენტი პეტრო პოროშენკოც დაესწრება.

– პოროშენკოს ნატოს სამიტზე აუცილებლად მოვიწვევთ, – ამბობს სტოლტენბერგი.

ნატოს გენერალური მდივანი უკრაინა-უნგრეთს შორის უთანხმოებასაც შეეხო და განაცხადა, რომ ეს უკრაინა-ნატოს შორის თანამშრომლობას ხელს არ შეუშლის.

– ვიმედოვნებ, რომ უკრაინა და უნგრეთი ერთმანეთში აუცილებლად მორიგდებიან! – თქვა სტოლტენბერგმა.

ირკუტსკელები მშობლიური ენის დასაცავად გამოვიდნენ

ირკუტსკელები რუსიფიკაციის წინააღმდეგ და მშობლიური ენის დასაცავად გამოვიდნენ. მიტინგი არ იყო მრავალრიცხოვანი. მას სულ 150 ადამიანი დაესწრო. ის ქალაქის განაპირას გაიმართა, რადგან ხელისუფლებამ ცენტრში მისი ჩატარების უფლება არ მისცა. ასე თუ ისე, ეს იყო მშობლიური ენის დასაცავად და რუსიფიკაციის წინააღმდეგ გამართული პირველი ლეგალური მიტინგი.

გამმესვლელებმა აღნიშნეს, რომ რუსული ენის შემდგომი მოძალება იაკუტიურს სრულ გაქრობას უქადის. ითქვა ისიც, რომ მშობლიური ენის სტატუსის დასაცავად აუცილებელია ბრძოლა. მიტინგზე გაკეთდა პარალელი უკრაინასთან, ითქვა, რომ უკრაინელები რუსებივით სლავები არიან. გარეგნულად ერთმანეთისგან ვერც განასხვავებ. მიუხედავად ამისა, უკრაინამ დამოუკიდებლობა მოიპოვა. იქ ყველა უკრაინულად ლაპარაკობს. ეს იმიტომ მოხდა, რომ უკრაინელებმა იბრძოლეს. სხვაგვარად მათ ავტონომიასაც კი არავინ უბოძებდა.

– ჩვენ რუსებთან საერთო არაფერი გვაქვს! სულ სხვა რწმენის ხალხი ვართ, სხვა რასას განვეკუთვნებით. სირცხვილი არ არის, რომ რუსეთის შემადგენლობაში მწირი ავტონომია გვქონდეს და გვარუსებდნენ?! – აცხადებდნენ გამმესვლელები.

ტურჩინოვი: „პუტინს რაღაცები ეშლება!“

რუსეთის პრეზიდენტის მუქარამ უკრაინელების მიმართ საყოველთაო აღშფოთება გამოიწვია. უკრაინის უშიშროების საბჭოს მდივანმა ტურჩინოვმა განაცხადა, რომ მის ქვეყანასთან ასეთი ტონით ლაპარაკი დაუშვებელია.

– პუტინს რაღაცები ეშლება! – თქვა ტურჩინოვმა.

უკრაინის უშიშროების საბჭოს მდივანმა განაცხადა, რომ რუსული აგრესიის შემთხვევაში უკრაინული არმია ადეკვატურად მოიქცევა.

– პუტინს შეუძლია, უკრაინაში ჯარი შემოიყვანოს. ისმის კითხვა, აქედან ცოცხალი რამდენი რუსი ჯარისკაცი გააღწევს?! – ამბობს ტურჩინოვი.

უკრაინის უშიშროების საბჭოს მდივანმა განაცხადა, რომ პუტინმა რუსეთში აბსოლუტური ძალაუფლება მოიპოვა, რამაც თავბრუ დაახვია. ის სერიალ „გაზაფხულის ჩვიდმეტი გაელვების“ ერთ-ერთი პერსონაჟის, პროფესორ პლეიშნერის, მდგომარეობაში აღმოჩნდა, რომელიც ნაცისტური გერმანიიდან შვეიცარიაში მოხვდა და თავისუფლების ჰაერმა თავბრუ დაახვია. პროფესორმა საბედისწერო შეცდომა დაუშვა, რაც ძვირი დაუჯდა.

– პლეიშნერი მეოთხე სართულიდან გადმოხტა და დაიმსხვრა. როგორ დაამთავრებს პუტინი? – ამბობს ტურჩინოვი.

შვედეთმა „ჩრდილოეთის ნაკად 2“-ის მშენებლობაზე ნებართვა გასცა

შვედეთმა „ჩრდილოეთის ნაკად 2“-ის მშენებლობაზე ნებართვა გასცა. ამის თაობაზე შვედეთის მრეწველობის მინისტრმა დამბერგმა განაცხადა.

შვედეთი ფინეთისა და გერმანიის შემდეგ მესამე ქვეყანაა, რომელიც „ჩრდილოეთის ნაკად 2“-ის მშენებლობას დათანხმდა.

ასეთი ნებართვა არ გაუცია დანიას. „ჩრდილოეთის ნაკად 2“-ის მშენებლობას კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან პოლონეთი, ლატვია, ლიტვა, ესტონეთი. აღნიშნული პროექტის წინააღმდეგ აქტიურად გამოდის უკრაინა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა

მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ
და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე.
მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.
მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166.
მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

განცხადებები

სხვადასხვა

● დიდი გამოცდილების მქონე შპს მოგიგვარებთ ქვეწარმავლების, მღრღნელების, მწერების პრობლემას, ჩაგიტარებთ სადეზინფექციო სამუშაოებს. ტელ: 551-54-84-54; 599-74-04-51.

● სილამაზის სალონს ესაჭროება გამოცდილი ქალის სტილისტი, მანიკური/პედიკურის სპეციალისტი და კოსმეტოლოგი. მის. ბორჯომის ქ. 6 (დეზერტირების ბაზართან). ტელ: 597050903; 558153660.

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 150 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების თავიდან აცილება, ნერვული სისტემის და ღვიძლის პრობლემების ნორმალიზება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან. უკუჩვენების გარეშე. საუკეთესო შედეგით, ტელ: 599-25-44-14 ექიმი მზია, 218-48-99 (სამსახ.). მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

● პოტენციის დაქვეითებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციების ნორმალიზება, პროსტატის ჯირკვლისა და შარდვის პროცესების მოწესრიგება, ბაქტერიულ-სოკოვან ინფექციათა საწინააღმდეგო მოქმედება იმუნიტეტის გაძლიერებით, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან უჯრედულ დონეზე. უკუჩვენების გარეშე. საუკეთესო შედეგით. ტელ: 595-293-299; 218-46-08 (სამსახ.) ექიმი ინგა. მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-5 სმ-ის მომატებით ძვლის მკვებავი მინერალებისა და ვიტამინების ნაკრებით+ვარჯიშები. ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც, ასევე გახდომა 5-15 კგ თვეში რაციონის შეუცვლელად, მიღებული შედეგის შენარჩუნებით, სწრაფად და ეფექტურად. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 (სამსახ). ექიმი სალომე. მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

● ძვლის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება – კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ართრიტის დროს. დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის ნორმალიზება მცენარეული საშუალებებით, საუკეთესო შედეგი. ტკივილისა და შებოჭილობის სინდრომის შემცირება უკუჩვენების გარეშე. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 (სამსახ). ექიმი სალომე. მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

C ჯგუფი: რუსეთში ფავორიტი მამლები და დოპინგმოხდილი გერერო ჩადიან

საინტერესო ჯგუფია... ფავორიტად ფრანგები მიიჩნევიან, მეორე ადგილისთვის კი ბრძოლა იქნება. ვნახოთ, ვის გაუღიმებს ფორტუნა რუსეთში.

16 ივნისი

13:00 საფრანგეთი-ავსტრალია;

19:00 პერუ-დანია;

21 ივნისი

15:00 დანია-ავსტრალია;

18:00 საფრანგეთი-პერუ;

26 ივნისი:

17:00 დანია-საფრანგეთი; ავსტრალია-პერუ.

ავსტრალია

ავსტრალიის ეროვნული ნაკრები 1911 წელს დაარსდა, ხოლო ფიფას წევრი გაცილებით გვიან, 1963 წელს გახდა. სადღეისოდ რეიტინგში მე-40 ადგილი უკავია.

კუნძულელებმა პირველი მატჩი მეზობლებთან, ახალ ზელანდიასთან გამართეს 1922 წელს და 3:1 დაამარცხეს. ნაკრებში ყველაზე მეტი მატჩი მარკ შვარცერს (109) აქვს ჩატარებული, ხოლო ყველაზე მეტი გოლი ტიმ კეჰილს (50) გაუტანია, რომელიც რუსეთში გასამართ მუნდიალზეც ნაკრების შემადგენლობაშია.

ავსტრალია ოკეანეთის თასი 4-გზის ჩემპიონია, რაც საუკეთესო შედეგია. შემდეგ ავსტრალიამ ოკეანეთის ზონა დატოვა, აზიაში გადაინაცვლა და 2015 წელს უკვე ამ კონტინენტის საუკეთესო გუნდი გახდა.

მსოფლიო ჩემპიონატზე სულ 5-ჯერ იასპარეზა და საუკეთესო მაჩვენებელი მერვედფინალია.

რუსეთამდე გზა აზიის შესარჩევი ეტაპით გაიარა. პირველ ეტაპზე ყირგიზეთთან, ბანგლადეშთან, ტაჯიკეთთან, იორდანიასთან და ერაყთან ერთად მოხვდა ჯგუფში, რომელიც იოლად დასძლია, შემდეგ კი, მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურის არაბეთის გაერთიანებული საემიროების, საუდის არაბეთის, იაპონიის, ტაილანდისა და სირიის ეროვნულ გუნდებთან ბრძოლაში მოიპოვა.

ავსტრალიის ეროვნული გუნდი დაარსდა 1911 წელს და მსოფლიო ჩემპიონატზე პირველად 1974 წელს ითამაშა. კუნძულელებმა საუკეთესო შედეგი მუნდიალების ისტორიაში 2006 წელს დააფიქსირეს, როცა მერვედფინალში გავიდნენ. მაშინ ავსტრალიელები იტალიის ნაკრებმა 94-ე წუთზე დანიშნული 11 მეტრიანის წყალობით გამოთიშეს ტურნირს. სამართლიანობა მოითხოვს ვთქვათ, რომ აღნიშნული პენალტი ტურნირის ერთ-ერთი ყველაზე სადავო ეპიზოდი გალხდათ.

ავსტრალიის ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი, ჰოლანდიელი ბერტ ვან მაარვიკია. 66 წლის მაარვიკმა სამწვრთნელო კარიერა ჰოლანდიურ ფორტუნაში დაიწყო. შემდეგ იყო ფეინოორდი, დორტმუნდი, კვლავ ფეინოორდი, ჰოლანდიის ნაკრები, ჰამბურგი, საუდის არაბეთი და ახლა იგი ავსტრალიას ხელმძღვანელობს.

8 წლის წინ ჩატარებულ მუნდიალზე, სადაც ჰოლანდიამ მე-2 ადგილი დაიკავა, სწორედ ვან მაარვიკი წვრთნიდა.

ავსტრალიელთა მთავარი ვარსკვლავი, გუნდის ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირი, 38 წლის ტიმ კეჰილი გახლავთ. მართალია, მისმა საუკეთესო წლებმა ჩაიარა, თუმცა ვფიქრობთ, რომ მას კვლავაც შეუძლია ეროვნული გუნდისთვის სარგებლობის მოტანა.

რუსეთში ავსტრალიელებს ჯგუფიდან გასვლა გაუჭირდებათ, რადგან სამივე მეტოქე სერიოზული ჰყავთ. და თუ ეს მოახერხეს, გმირობის ტოლფასი იქნება.

შემადგენლობა

მეკარეები: მეთიუ რაიანი (ბრაიტონი), დანიელ ვუკოვიჩი (გენკი), ბრედლი ჯონსი (ფეიენოორდი);

მცველები: აზიზ ბეჰიჩი (ბურსასფორი), მილოშ დეგენეკი (იოკოჰამა), მეთიუ იურმანი (სუვონი), ჯეიმს მერედიტი (მილუოლი), ჯოშ რისდონი (უესტერნ სიდნეი), ტრენტ სეინსბარი (გრასჰოფერსი);

ნახევარმცველები: მაილ ედინაკი (ასტონ ვილა), ჯეკსონ ირვაინი (ჰალი), რობი კრუზი (ბოხუმი), მასიმო ლიონგო (ქპრ), მარკ მილიგანი (ალ-აჰლი), აარონ მუი (ჰადერსფილდი), ტომ როგიჩი (სელტიკი);

თავდამსხმელები: ტიმ კეჰილი (მილუოლი), ტომი იურიჩი (ლიუცერნი), მეთიუ ლეკი (ჰერტა), ენდრიუ ნაბაუტი (ურავა), დიმიტრი პეტრატოსი (ნიუკასლ ჯეტსი), დენიელ არვანი (მელბურნი), ჯეიმი მაკლარენი (ჰიბერნიანი).

დანია

დანიის ფეხბურთის ფედერაცია დაარსდა 1906 წელს და 2 წელიწადში ფიფას წევრიც გახდა. ამჯერად რეიტინგში მე-12 პოზიციაზე არიან. პირველი მატჩი საფრანგეთთან გამართეს. გაგიკვირდებათ და, 9:0 მოუგეს. თუმცა, ეს რა არის – 1908 წელს ისტორიაში ყველაზე დიდი მოგება დააფიქსირეს და ისევ საფრანგეთთან, ამჯერად 17:1.

ნაკრებში ყველაზე მეტი მატჩი ლეგენდარულ პიტერ შმეიხელს (129) აქვს ჩატარებული, ყველაზე მეტი გოლი პოლ ნილსენმა და იონ დალ ტომასონმა (52) გაიტანეს.

დანიის ნაკრები ტიტულებით ვერ დაიკვეხნის, მხოლოდ ერთხელ, 1992 წელს გახდა ევროპის ჩემპიონი და იმაშიც გაუმართლა. სკანდინავიელებმა შესარჩევ ეტაპზე იუგოსლავიის ნაკრების შემდეგ მე-2 ადგილი დაიკავეს და კონტინენტის პირველობის ფინალურ ეტაპზე წასვლა არ ეკუთვნოდათ, მაგრამ იუგოსლავიაში ომი დაიწყო და მათი საგზური ერგოთ. დანიელებმაც მშვენივრად შეირგეს ეს საჩუქარი და ევროპის ჩემპიონებიც გახდნენ. ჰო, მიღებული თანხა მთლიანად იუგოსლავიელებს გადაურიცხეს.

რუსეთამდე მაგრად იომეს დანიელებმა. შესარჩევ ჯგუფში პოლონეთთან, ჩერნოგორიასთან, რუმინეთთან, სომხეთთან და ყაზახეთთან ჭიდილში მე-2 ადგილი დაიკავეს, პლეი ოფში კი, შინ 0:0 ნათამაშევი მატჩის შემდეგ სტუმრად 5:1 მოუგეს ირლანდიას და მსოფლიოს ჩემპიონატის საგზური მოიპოვეს.

დანიის ეროვნული ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატზე პირველად 1986 წელს გავიდა. გუნდმა საუკეთესო შედეგი 1998 წელს დააფიქსირა, როცა მეოთხედფინალის საგზური მოიპოვა. დანიელებმა ბრაზილიასთან დაძაბულ და საინტერესო ბრძოლაში მატჩი 2:3 დათმეს.

დანიელები მუნდიალზე ბოლოს 2010 წელს გამოვიდნენ. სამხრეთ აფრიკაში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე მათი მეტოქეები ჰოლანდია, კამერუნი და იაპონია გახლდათ. სკანდინავიელებმა იაპონია კი დაამარცხეს, მაგრამ კამერუნთან და ჰოლანდიასთან ვერას გახდნენ და 3 ქულით ჯგუფში ბოლოსწინა ადგილი დაიკავეს.

დანიის ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი ადე ჰერეიდემე გახლავთ. ნორვეგიელი სპეციალისტი დიდი სამწვრთნელო კარიერით არ გამოირჩევა. ვნახოთ, რა იქნება ამჯერად.

დანიელთა მთავარ დამრტყმელ ძალად კრისტიან ერიკსენი უნდა მივიჩნიოთ. მან ამ სეზონში ტოტენჰემის რიგებში 48 მატჩი ჩაატარა და 14 გოლი გაიტანა. 23-ე ნომერი ერთ-ერთი გამორჩეული გახლდათ არა მარტო პრემიერლიგაში, არამედ მთლიანად ევროპაში. 26 წლის ფეხბურთელით ბარსელონაა დაინტერესებული.

ჰერეიდემეს შეგირდები საფრანგეთთან ერთად ჯგუფიდან გასვლის ფავორიტები არიან. არც ის გამოვრიცხოთ, რომ სკანდინავიელებმა მეოთხედფინალში ითამაშონ. ყველაფერი სხვა ჯგუფებზე იქნება დამოკიდებული.

შემადგენლობა

მეკარეები: ფრედრიკ რონოუ (ბრონდბიუ), იონას ლიოსლი (ჰადერსფილდი), კასპერ შმეიხელი (ლესტერი);

მცველები: ანდრეას კრისტენსენი (ჩელსი), ჰენრიკ დალსგაარდი (ბრენტფორდი), იანიკ ვესტერგაარდი (გლადბახი), იენს ლარსენი (უდინეზე), იონას კნუდსენი (იფსვიჩი), მატიას იორგენსენი (ჰადერსფილდი), სიმონ კიაერი (სევილია);

ნახევარმცველები: კრისტიან ერიკსენი (ტოტენჰემი), ლასე შონე (აიაქსი), ლუკას ლერაგერი (ბორდო), მიკაელ კრონ-დელი (დეპორტივო), ტომას დელანი (ვერდერი), უილიამ კვისტი (კოპენჰაგენი);

თავდამსხმელები: ანდრეას კორნელიუსი (ატალანტა), კასპერ დოლბერგი (აიაქსი), მარტინ ბრაიტუიატი (ბორდო), ნიკოლაი იორგენსენი (ფეიენოორდი), პიონე სისტო (სელტა), ვიქტორ ფიშერი (კოპენჰაგენი), იუსუფ პოულსენი (ლაიფციგი).

საფრანგეთი

საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაცია დაარსდა 1919 წელს, თუმცა ფიფას წევრი გაცილებით ადრე იყო – 1907 წელს. პირველი მატჩი კიდევ უფრო ადრე, 1904 წელს გამართა ბელგიასთან და 3:3 ითამაშა.

„მამლებს“ ტიტულებიც აქვთ: 1998 წელს მსოფლიოს ჩემპიონები გახდნენ, ორჯერ კი, 1984 და 200 წლებში, ევროპის საუკეთესო გუნდის წოდება მოიპოვეს.

რუსეთისკენ მიმავალი გზა ფრანგებმა საკმაოდ იოლად და დამაჯერებლად გაიარეს. ჯგუფურ ეტაპზე შვედეთის, ჰოლანდიის, ბულგარეთის, ლუქსემბურგისა და ბელარუსის ნაკრებებთან ერთად მოხვდნენ და ყოველგვარი ნერვიულობის გარეშე პირველ ადგილზე გავიდნენ.

საფრანგეთის ნაკრებმა მუნდიალზე მონაწილეობა პირველად 1930 წელს მიიღო. გუნდი მსოფლიო ჩემპიონატზე სულ 15-ჯერ გავიდა. როგორც გითხარით, „მამლებმა“ საუკეთესო შედეგი 1998 წელს დააფიქსირეს, როდესაც ოქროს მედლებს დაეუფლნენ. ფრანგთა კაპიტანი დიდიე დეშამი გახლდათ, რომელიც დღეს ნაკრების თავკაცია და „დუბლის“ შესრულება შეუძლია.

დეშამმა წარმატებული საფეხბურთო კარიერის შემდეგ მწვრთნელობა გადაწყვიტა და საკმაოდ კარგადაც გამოსდის. მის ყველაზე დიდ მიღწევად ევროპის ჩემპიონატის ფინალისტობა შეგვიძლია ჩავთვალოთ. 2 წლის წინ „მამლები“ ფინალში პორტუგალიას დაუპირისპირდნენ და ედერის ერთადერთი გოლით დამარცხდნენ. ნაკრებში მისვლამდე 49 წლის სპეციალისტს მონაკოში, იუვენტუსსა და მარსელში უმუშავია. მარსელს 2009-10 წლების სეზონში დეშამმა საფრანგეთის ჩემპიონატი მოაგებინა, ხოლო 2004 წელს მონაკო ჩემპიონთა ლიგის ფინალში გაიყვანა, სადაც ჟოზე მოურინიოს გაწვრთნილ პორტოსთან დამარცხდა.

ფრანგთა მთავარ ვარსკვლავად შეგვიძლია ანტუან გრიზმანი მივიჩნიოთ. ატლეტიკოს ფორვარდმა სეზონი მართლაც რომ მაღალ დონეზე ჩაატარა. მისი დამსახურება დიდია იმაში, რომ „როხიბლანკომ“ ევროპის ლიგა მოიგო.

საფრანგეთის ნაკრები ტურნირის ერთ-ერთი მთავარი ფავორიტია. ამის თქმის საფუძველს მისი ვარსკვლავური შემადგენლობა გვაძლევს.

შემადგენლობა

მეკარეები: უგო ლორისი (ტოტენჰემი), სტივ მანდანდა (მარსელი), ალფონს არეოლა (პსჟ);

მცველები: ლუკა ერნანდესი (ატლეტიკო), პრესნელ კიმპემბე (პსჟ), ბენჟამენ მენდი (მანჩესტერ სიტი), ჯიბრილ სიდიბე (მონაკო), ადილ რამი (მარსელი), ბენჟამენ პავარი (შტუტგარტი), სამუელ უმტიტი (ბარსელონა), რაფაელ ვარანი (რეალი);

ნახევარმცველები: ბლეზ მატუიდი (იუვენტუსი), პოლ პოგბა (მანჩესტერ იუნაიტედი), ნგოლო კანტე (ჩელსი), კორენტენ ტოლისო (ბაიერნი), კოსტიავენ ნზონზი (სევილია), ნაბილ ფეკირი (ლიონი), ფლორიან ტოვენი (მარსელი);

თავდამსხმელები: ოლივიე ჟირუ (ჩელსი), ანტუან გრიზმანი (ატლეტიკო), უსმან დემბელე (ბარსელონა), თომა ლემარი (მონაკო), კილიან მბაპე (პსჟ).

პერუ

პერუს ფეხბურთის ფედერაცია 1922 წელს დაარსდა, ხოლო ფიფას წევრი 1927 წლიდან არის. რეიტინგში მე-11 ადგილზეა. ეროვნულ გუნდში ყველაზე მეტი მატჩი რობერტო პალასიოსმა (128) ჩაატარა, ხოლო ყველაზე მეტი გოლი პაოლო გერერომ (35) გაიტანა.

ტიტულებით მაინცდამაინც ვერ დაიკვეხნის, მხოლოდ ორჯერ მოახერხა კოპა ამერიკის თასის მოგება.

გზა რუსეთამდე კი დაძაბულ ბრძოლაში მოიპოვა... სამხრეთ ამერიკის 10-გუნდიან ჯგუფში საფლეიოფო, მე-5 ადგილი დაიკავა, თუმცა, ამაში ხელი მეტოქეებმაც შეუწყვეს. ბრაზილიამ 3:0 მოუგო ჩილეს, ხოლო ვენესუელამ 1:0 პარაგვაის და პერუს ნაკრებს შანსი მისცეს, რომელიც კარგად გამოიყენა ფლეი ოფში ახალ ზელანდიასთან – 2:0; 0:0.

მუნდიალზე მოხვედრით პერუს ნაკრებმა საკუთარ გულშემატკივრებს დიდი ოცნება აუხდინა. სამხრეთამერიკელები მსოფლიო ჩემპიონატზე ბოლოს 1982 წელს იყვნენ და ჯგუფში ჩარჩნენ. მათი საუკეთესო შედეგი მსოფლიოს ჩემპიონატებზე მეოთხედფინალია, რომელშიც 1970 წელს გააღწია.

პერუს ნაკრების მთავარი მწვრთნელი რიკარდო ჯარეკა გახლავთ. არგენტინელი სპეციალისტი გუნდს 2015 წლის თებერვლიდან წვრთნის. პერუმდე ჯარეკა ველეზ სერფიელდსა და პალმეირასს წვრთნიდა. არგენტინულ გუნდს ჯარეკამ კლაუსურა 4-ჯერ მოაგებინა.

პერუს ვარსკვლავად თამამად შეგვიძლია, პაულო გერერო მივიჩნიოთ, რომლის თამაში მუნდიალზე საეჭვო იყო, რადგან ფეხბურთელს დისკვალიფიკაცია ჰქონდა. მართალია, მისი ვადა ზედ მუნდიალის წინ გაუვიდა, მაგრამ ანტისადოპინგო ორგანიზაციამ გაუგრძელა. შემდეგ საქმეში სხვადასხვა ორგანიზაციები ჩაერივნენ, გერეროს დისკვალიფიკაციის გაუქმება მოითხოვეს იმ გუნდების კაპიტნებმაც, რომლებიც პერუს ნაკრების ჯგუფში არიან და, საბოლოოდ, გერერო რუსეთში მიჰყვება გუნდს.

თუმცა, რთულია, პერუს ნაკრებს მუნდიალზე წარმატებული ასპარეზობა ვუწინასწარმეტყველოთ. ერთია, ჯგუფიდან გასვლის მინიმალური შანსი აქვთ.

შემადგენლობა

მეკარეები: პედრო გალიესე (ვერაკრუსი), კარლოს კასედა (დეპორტივო მუნისიპალი), ხოსე კარვალიო (უტკ);

მცველები: ლუის ადვინკულა (ლობოსი), ალდო კორსო (უნივერსიტარიო), მიგელ ტრაუკო (ფლამენგო), კრისტიან რამოსი (ვერაკრუსი), ალბერტო როდრიგესი (სპორტინგ კრისტალი), მიგელ არაუხო (ალიანსა), ნილსონ ლოიოლა (მელგარი), ანდერსონ სანტამარია (პუებლა);

ნახევარმცველები: პედროი აკინო (ლობოსი), ვილდერ კარტახენა (ვერაკრუსი), კრისტიან კუევა (სან პაულუ), ედისონ ფლორესი (ოლბორგი), პაოლო ურტადო (ვიტორია გიმარაეში), რენატო ტაპია (ფეინოორდი), იოსიმარ იოტუნი (ორლანდო სიტი);

თავდამსხმელები: პაოლო გერერო (ფლამენგო), ენდი პოლო (პორტლენდ ტიმბერსი), ანდრე კარილიო (უოტფორდი), რაულ რუიდიასი (მორალეია), ჯეფერსონ ფარფანი (ლოკომოტივი).

მოამზადა მისეილ ჟორჟოლიანმა

უმცროს ბორჯღალოსნებს ისტორიული გამარჯვება არ ეყოთ

უმცროსმა ბორჯღალოსნებმა საფრანგეთში მიმდინარე მსოფლიო რაგბის 20-წლამდელთა ჩემპიონატის ჯგუფური ეტაპის დასკვნით მატჩში ირლანდია 24:20 დაამარცხეს!

ილია მაისურაძის, ლადო კილასონიასა და ზურა ამონაშვილის გაწვრთნილი გუნდი 20-წლამდელთა ჩემპიონატს მესამედ თამაშობს და პირველად მოიგო მესამე შეხვედრა. წინა 2 ჯერზე საქართველო მეოთხე მატჩებს იგებდა, რითაც ელიტაში დარჩენას ინაღდებდა და მეოთხე თამაში ახლაც მოსაგებია, რადგან ჯგუფში მესამე ადგილით მოწინავე 8 გუნდს შორის მაინც ვერ მოვხვდით.

ამის მიზეზი 2 პარალელური შეხვედრაა. ა ჯგუფში იაპონიას უელსი უნდა დაემარცხებინა და მაგრადაც ეომა, თუმცა საბოლოოდ 17:18 დამარცხდა. ბ ჯგუფში ერთმანეთს კონკურენტები – იტალია და არგენტინა ეთამაშებოდნენ. იტალიელებმა ტაიმი 22:5 მოიგეს და მეორე ნახევრის დასაწყისში მეტოქის ლელოს ლელოთივე უპასუხეს, თუმცა სულ ბოლოს კიდევ 2 ლელო გაუშვეს და ჩვენთვის ყველაზე არასასურველი შედეგი დაფიქსირდა, იტალიამ 30:26 მოიგო, არგენტინამ 2 ბონუსი აიღო და მიუწვდომელი გახდა.

ამრიგად, ჯგუფში მესამე ადგილზე გასული გუნდებიდან ავსტრალიამ 6 სატურნირო ქულა მოაგროვა, არგენტინამ – 7, ხოლო საქართველომ – 5. შედეგად, უმცროსი ბორჯღალოსნები 2 საუკეთესო მესამედგილოსანს შორის ვერ მოხვდნენ და მე-5-8 ადგილების ნაცვლად, მე-9-12 ადგილებისათვის იბრძოლებენ, ანუ ელიტაში ადგილის შესანარჩუნებლად და ნახევარფინალში 12 ივნისს იაპონიას პერპინიანში შეხვდებიან.

მნიშვნელოვანია, რომ ამ ისტორიულ გამარჯვებამდე ქართული რაგბი ნაბიჯ-ნაბიჯ მივიდა. 2012 წელს, 6 ერის ქვეყნების 18-წლამდელთა ნაკრებები ევროპის ჩემპიონატში ჩაერთვნენ და იქ 4 წელი დარჩნენ. 2015 წელს, ჩვენმა 18-წლამდელებმა ირლანდიელები მატჩისშემდგომი არეკნებით დაამარცხეს, მერე იგივე ნახევარფინალში იტალიასთან გაიმეორეს და ფინალში გავიდნენ. სამწუხაროდ, ამის შემდეგ 18-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატზე ექვსი ერის ქვეყნებიდან მხოლოდ საფრანგეთი დარჩა, დანარჩენებმა კი, გასვლა არჩიეს...

სამაგიეროდ, ამ 4 წელიწადში მიღებულმა გამოცდილებამ, 2015 წელს 20-წლამდელთა მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურის მოპოვების საშუალება მოგვცა და 2016 წელს მეოთხე მატჩში იტალია, ხოლო შარშან არგენტინა დავამარცხეთ. შარშან დასკვნით მატჩში მცირედით გვაჯობა ირლანდიამ.

გასულ 2 წელიწადში მოთამაშეებთან ერთად მწვრთნელებმაც უდიდესი გამოცდილება შეიძინეს, წელს ჯგუფური ეტაპის სამივე შეხვედრაში მაღალი დონის რაგბი აჩვენეს და გამარჯვების ლოდინი მეოთხე მატჩამდე აღარ დაგვჭირდა.

უმცროსმა ბორჯღალოსნებმა იცოდნენ, რომ ამ თამაშის მოგება, 4 ლელოს გატანა და ბონუსის აღება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო და ამისათვის თავი არ დაზოგეს. მათ საოცარი თავდადებით ითამაშეს დაცვაში, მეტოქეს დიდი პრობლემები შეუქმნეს რაქებში და რამდენჯერმე გაახერხეს თერნოვერი, შეტევაში კი, საკუთარი შანსები თითქმის სრულად გამოიყენეს. ეს ჩვენი წლევანდელი 20-წლამდელთა ნაკრების ერთ-ერთი მახასიათებელია – გუნდი მაღალი პროცენტული მაჩვენებლით იყენებს ქულების აღების შესაძლებლობებს.

ეს სტატისტიკური მონაცემებითაც კარგად ჩანს. გასულ 2 ჩემპიონატში საქართველომ ჯგუფური ეტაპის 6 მატჩის ჯამში 56 ქულის აღება მოახერხა და 5 ლელო გაიტანა, წელს კი 3 თამაშში მეტოქეები 8-ჯერ დაალელოვა და 63 ქულას მოუყარა თავი, რამაც

გაგრძელება მე-10 გვერდზე

კალეიდოსკოპი

კანადაში სარბოლი აბაზანები მოიპარეს

კანადის ქალაქ ნანაიმოში შეჯიბრის დაწყების წინა დღეს სამი სარბოლი აბაზანა მოიპარეს. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი ახალი ამბების პორტალი ავრცელებს.

ბრედ დევისმა, რომელსაც ორი მცურავი საშუალება მოპარეს, აღიარა, რომ ისინი მას ათასი დოლარი დაუჯდა და რომ ძალიან გაანაწყენა ამ ფაქტმა. კანადელი თავის აბაზანებს დაცულ ნავსადგომში ინახავდა.

გასულ კვირას სარბოლი აბაზანა კერტ ჰენდერსონსაც მოპარეს. მცურავი საშუალება კანადელის სახლის უკანა ეზოდან წაიღეს. ქურდებმა ხელი არ ახლეს იქვე მდგომ მთის ველოსიპედს.

– ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ ისინი სწორედ აბაზანისთვის მოვიდნენ და წაიღეს, – განაცხადა ჰენდერსონმა.

აბაზანებით რბოლის საზოგადოების წარმომადგენელმა ნანაიმოში გრეგ პიკოკმა განაცხადა, რომ ეს უპრეცედენტო და სამწუხარო შემთხვევაა, ვინაიდან მრბოლელებს ქალაქში უდიდეს პატივს სცემენ.

ადგილობრივი პოლიციის წარმომადგენლის თქმით, ქურდობის თაობაზე გამოძიება მიმდინარეობს, თუმცა იქვე ყველანი გააფრთხილა, რომ უკეთესი იქნება, თუ მცურავ საშუალებებს უფრო გულმოდგინედ დაიცავენ, ვინაიდან სანაოსნო სეზონის დაწყებასთან დაკავშირებით ქურდები გააქტიურდნენ.

აბაზანებით წყალზე რბოლები ნანაიმოში 1967 წლიდან იმართება. მონაწილეები მათ ძრავით აღჭურავენ და ორ კატეგორიაში ეჯიბრებიან ერთმანეთს: „ყველაზე სწრაფი აბაზანა“ და „ყველაზე საუკეთესო საინჟინრო გადაწყვეტა“.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

9 ივნისისთვის

ვერძი – დღის პირველ ნახევარში ჯანმრთელობას მიხედეთ. მთავარი სწორი კვებაა. კარგი იქნება, თუ მხოლოდ პირადი საქმეებით დაკავდებით. **კურო** – თქვენი ენერგეტიკული და სექსუალური პოტენციალი იზრდება. ბედი გწყალობთ. **ტყუპები** – ცდუნებას არ აჰყვეთ. ილუზიებისგან გათავისუფლდით. კარგი იქნება სუფთა ჰაერზე გასეირნება და დასვენება კომფორტულ, მყუდრო გარემოში. **კირჩხიბი** – ნებისმიერი საქმის შესრულებისას ყურადღებით იყავით. ნუ იჯიუტებთ. აქტიურობას ერიდეთ. **ლომი** – რადიკალურ გადაწყვეტილებებს ნუ მიიღებთ. კოლეგებთან ურთიერთობისას მეტი ტაქტი და ლოიალობა გამოიჩინეთ. პლანეტები გმფარველობენ. **ქალწული** – კოლეგებთან და პარტნიორებთან გაუგებრობა თქვენს საქმიანობაზე ნეგატიურად აისახება. სასიცოცხლო პოტენციალი მცირდება. ახალი საქმის დაწყება რეკომენდებული არ არის. **სასწორი** – იზრუნეთ კარიერულ წინსვლაზე. თქვენი მიზანდასახულობა და შრომისმოყვარეობა დაფასდება. **ღრიანკალი** – ეცადეთ, საკუთარ გრძნობებში გაერკვეთ. თამამად გარისკეთ. ახალი საქმის დაწყებაში პლანეტები ხელს გიწყობენ. **მშვილდოსანი** – კეთილისმყოფელი დღეა. გიმართლებთ ბიზნესში, ვაჭრობაში. გელით მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება. **თხის რქა** – კომერციულ საქმიანობაში გიმართლებთ. ვარსკვლავების განლაგება ამაში გეხმარებათ. **მერწყული** – ხელშეკრულებების გასაფორმებლად, მივლინებებისათვის შესაფერისი პერიოდია. მიმართეთ ძველ მეთოდებს. **თევზები** – კეთილისმყოფელი დღეა საქმიანი კონტაქტებისათვის, შემოქმედი ადამიანებისათვის. საღამო მეგობრების წრეში გაატარეთ.

10 ივნისისთვის

ვერძი – ბედი გწყალობთ. ფინანსურ ოპერაციებში გიმართლებთ. ნუ გარისკავთ. **კურო** – დღის პირველი ნახევარი სულიერ წონასწორობას მოგიტანთ. პარტნიორების დარწმუნებას დაუბრკოლებლად მოახერხებთ. **ტყუპები** – დღეს მოვლენები თვითდინებაზე მიუშვით, რათა ყოველგვარი უსიამოვნება და გაუგებრობა თავიდან აიცილოთ. **კირჩხიბი** – შემოქმედებითი აღმავლობა არ დააყოვნებს. მთავარია, არ იზარმაცოთ. **ლომი** – საჯარო მოხელეებს გიმართლებთ. საქმიანი მოლაპარაკებები წარმატებით დაგვირგვინდება. **ქალწული** – იფრთხილეთ. იოლად არავის მიენდოთ. მოტყუების ალბათობა საკმაოდ დიდია. **სასწორი** – საკუთარი ტალანტის წარმოსაჩენად კეთილისმყოფელი დღეა. ფასეულობების გადაფასება მოგიწევთ. **ღრიანკალი** – სამსახურში კოლეგებთან და ხელმძღვანელობასთან კონფლიქტი გელით. ეცადეთ, ნებისმიერი პროვოკაცია თავიდან გონივრულად აიცილოთ. **მშვილდოსანი** – ახალი წამოწყება გაამართლებს. ბედი გწყალობთ. **თხის რქა** – ნუ იაქტიურებთ და ნუ იჯიუტებთ. მოულოდნელი ინფორმაცია გეგმებს შეგიცვლით. **მერწყული** – დაისვენეთ. შესაფერისი დღეა ფიზიკური დატვირთვისა და სპორტისთვის. **თევზები** – დღეს მხოლოდ საკუთარი თავის იმედი უნდა იქონიოთ. იოლად ნურავის მიენდობით. ცრუ დაპირებების გაცემისაგან თავი შეიკავეთ.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

სპორტი

უმცროს ბორჯღალოსნებს ისტორიული გამარჯვება არ ეყოთ

დასაწყისი მე-9 გვერდზე

პირველად ისტორიაში ჯგუფში მე-3 ადგილის დაკავების შესაძლებლობა მოგვცა.

უმცროსი ბორჯღალოსნები მოედანზე პირველივე წუთებიდან მობილიზებული გავიდნენ და მე-11 წუთზე ლელოთი დაწინაურდნენ. ჯარიმიდან ბურთი აუტში გაიგზავნა, საიდანაც მოლი დადგა და მან 10-15 მეტრი იარა, ფორვარდების ცენტრისკენ რამდენიმე დარტყმის შემდეგ, გელა აფრასიძემ შექცეული პასით არსენ მაჩალაძე შეიყვანა, რომელმაც ლელომდე დარჩენილი 5 მეტრი ბრძოლით დაფარა და ანგარიში გახსნა, ხოლო აფრასიძემ გარდასახა.

მომდევნო 10 წუთში გუნდებმა ჯარიმები გაცვალეს, მერე ირლანდიელებს რაქში ბურთი ავართვით და კარგი კონტრშეტევით 50 მეტრი მოვიგეთ, თუმცა ვიდეო-რეფერიმ სანდრო მამამთავრიშვილს უხეში ბოჭვა დასდო ბრალად და სინბინში გაუშვა.

ირლანდიამ მეტობის გამოყენება ცადა და ჩვენს 22-ში ფაზები გადააბა, მაგრამ გაუვალ დაცვას წააწყდა, მერე სანდრო სვანიძემ გადაცემა ჩაჭრა, მაღალ სიჩქარეზე ლელომდე 80 მეტრი ირბინა და აფრასიძემ გარდასახა – 17:3. დაცვაში აგრესიული თამაში ამის შემდეგაც გაგრძელდა, თუმცა 34-ე წუთზე სივრცე მაინც გაჩნდა და ირლანდიელებმა ერთი ლელოს გატანა მოახერხეს, გარდასახვა ძელმა აისხლიტა და ტაიმი 9 ქულით მოვიგეთ.

დაცვაში კარგი თამაშით, მეორე ტაიმის დებიუტში ჩვენი 22-დან კიდევ ერთი კონტრშეტევა წამოვიწყეთ. რაქში ბურთის მოპოვების შემდეგ ლუკა ჯაფარიძემ შეუტია, იერიში ფრთაზე სწრაფად გაიშალა, ლაშა ლომიძემ დემე თაფლაძეს პასი არ დაუგვიანა, მანაც რამდენიმე მეტრი ირბინა და ბურთი ფეხით ცენტრისკენ შეაგორა, სადაც მას ფეხი თედო აბჟანდაძემ წაკრა და ლელოში დაამიწა. აფრასიძე კვლავ ზუსტი იყო – 24:8.

55-ე წუთზე მეოთხე, პრემიალური ლელის გატანის რეალური შანსი გაჩნდა. ფორვარდებით მიძალების შემდეგ, აფრასიძემ კარის წინ გაჭრა ხაზი და ლელოდან 2-3 მეტრში მაჩალაძეს ოფლოუდი ამოუგდო, მაგრამ მან ბურთი ვერ შეიმაგრა და ირლანდია გარდაუვალ ლელოს გადარჩა.

დასკვნით მეოთხედში ირლანდიამ ბურთზე კონტროლი დაამყარა და მთელი დრო შეტევებში გაატარა. დიდი ხნის განმავლობაში უმცროსი ბორჯღალოსნები საკუთარ ლელოს ხელშეუხებლად იცავდნენ და მეტოქემ მხოლოდ ბოლო 2 წუთში მოახერხა ორი ლელოს გატანა, თუმცა ამით სატურნირო თვალსაზრისით არაფერი შეცვლილა და მხოლოდ საბოლოო შედეგი დაფიქსირდა – 24:20 საქართველოს სასარგებლოდ!

ამრიგად, 12 ივნისს საქართველო იაპონიას შეხვდება, მე-9 ადგილის მეორე ნახევარფინალში კი ირლანდია და შოტლანდია იბრძოლებენ.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

შურისმაძიებელმა პენსიონერმა ფეკალიები მოაგროვა და მეგობრის სახლი დააბინძურა

75 წლის ბრიტანელს პირობითი პატიმრობა მიუსაჯეს იმის გამო, რომ მან თავისი ყოფილი მეგობრის სახლში ფეკალიები მოასხურა.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ჯეფრი ჰოლროიდ-დოვერტონმა დაახლოებით 200 მილი (321 კილომეტრი) გაიარა ყოფილი მეგობრის სახლამდე. სასხურებელი მოწყობილობის წვერი სახლის შესასვლელ კარში დატანებული საფოსტო გზავნილების ხვრელში შეყო და დერეფანი და კიბეები, რომლებზეც ხალიჩა ეფინა, ფეკალიებით მოთხვარა.

ექსკრემენტებიან კონტეინერს ბრალდებული ექვსი-რვა კვირის მანძილზე ინახავდა და ავსებდა. სასხურებელი მოწყობილობა მან თავად ააწყო. ამ უცნაური დანაშაულის მოტივი შურისძიება გახდა.

დაზარალებული იძულებული გახდა მთლიანად გადაეღება კედლები, ხოლო ხალიჩა გადააგდო. მოსამართლემ ინციდენტს „ყველაზე საშინელი დანაშაული“ უწოდა, რომელიც კი მას თავისი 30-წლიანი მუშაობის მანძილზე შეხვედრია.

საერთო ჯამში, ზარალი ოთხი ათას ფუნტ სტერლინგად შეფასდა. ჰოლროიდ-დოვერტონმა თავი დამნაშავედ ცნო და მას რვაკვირიანი პირობითი პატიმრობა და 80 საათი საზოგადოებრივად სასარგებლო სამუშაოების იძულებით შესრულება მიესაჯა. გარდა ამისა, მას დაზარალებულის სახლთან ერთ მილზე ნაკლებ მანძილზე მიახლოვება აეკრძალა.

კალეიდოსკოპი

ავსტრალიელი მეოთხედი საუკუნე თვალებიდან კოსმეტიკას არ იშორებდა და იარები გაუჩნდა



ავსტრალიელი ქალი სახიდან კოსმეტიკას არასოდეს იშორებდა და ამის გამო ქუთუთოებზე იარები გაუჩნდა.

სიდნეის მცხოვრებმა ტერეზა ლინჩმა ოფთალმოლოგს თვალის არეში ტკივილების თაობაზე შესჩივლა. ექიმმა გასინჯვის შედეგად 50 წლის ქალის ქუთუთოების შიდა მხარეზე შავი ლაქები შენიშნა.

– მან აღიარა, რომ 25 წელზე მეტია, აქტიურად იყენებდა ტუშს წამწამებისთვის და მერე აღარ იცილებდა, – აღნიშნა ექიმმა დანა რობაიმ.

მისი თქმით, რამდენიმე წლის მანძილზე, სანამ ქალს წამწამებზე წასმული კოსმეტიკური საშუალებით ეძინა, ის იშლებოდა, ქუთუთოების სველ ნაწილზე ხვდებოდა, იქ გროვდებოდა და მაგრდებოდა. კოსმეტიკური საშუალების პატარა გამაგრებული ნაწილაკები თვალის გარსს ფხაჭნიდნენ და აზიანებდნენ.

– ისინი თვალში ქვიშის მოხვედრის შეგრძნებას და მუდმივ გაღიზიანებას იწვევენ, – აღნიშნა ექიმმა.

ლინჩს საათნახევრიანი ოპერაციის გადატანა მოუხდა, რომლის დროსაც ექიმებმა კოსმეტიკური საშუალების ყველა ნაწილაკი მოაცალეს. შედეგად ქალს ქუთუთოებზე ნაიარევები დარჩა.

გფბ-ს აგენტის მიერ დაჭრილი ამერიკელი სასმელით ცხოვრების ბოლომდე იქნება უზრუნველყოფილი

ამერიკელი, რომელიც გამოძიების ფედერალური ბიუროს აგენტმა ცეკვის დროს შემთხვევით დაჭრა, იმ ღამის კლუბში, სადაც აღნიშნული შემთხვევა მოხდა, სიცოცხლის ბოლომდე უფასო სასმელით იქნება უზრუნველყოფილი.

ინციდენტი დაახლოებით ღამის პირველ საათზე მოხდა. ცეკვის დროს გფბ-ს აგენტმა სალტო შეასრულა, რომლის დროსაც ჯიბიდან პისტოლეტი გადმოუვარდა. მან იარაღი აიღო და შემთხვევით მამაკაცს ესროლა.

ღამის კლუბის წარმომადგენლებმა მომხდარს შოკის მომგვრელი უწოდეს და აღნიშნეს, რომ აქამდე მათ დაწესებულებაში მსგავს ინციდენტს ადგილი არ ჰქონია. მათი წესები დაწესებულებაში დატენილი იარაღით შესვლას კრძალავს. ისინი აპირებენ მიმართონ გამოძიების ფედერალურ ბიუროს, რათა გაირკვეს, თუ რატომ მივიდა მათი აგენტი ღამის კლუბში პისტოლეტით, როდესაც მის სამსახურებრივ მოვალეობას არ ასრულებდა. ასევე დაწესებულების თანამშრომლები გეგმავენ, აგენტის მიერ დაჭრილი მამაკაცი სიცოცხლის ბოლომდე უფასო სასმელით უზრუნველყონ.

პოლიციამ მსროლელი დაკითხა და ინციდენტის გამოძიება დაიწყო, შემდეგ ის სპეცსამსახურში მისმა კურატორმა წაიყვანა. დაშავებული მამაკაცი საავადმყოფოში გადაიყვანეს, მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯოსვოიდი ბ



შვეულად: 1. შემაგრებული ესპანური ღვინო; 2. ქალის როლების შემსრულებელი მამაკაცი მსახიობი იაპონურ თეატრში; 3. ავსტრალიელი კინოვარსკვლავი ქალი; 4. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური ლიტვაში; 8. ბერ-მონაზონთა საეკლესიო საადგილმამულო კომპლექსი; 9. მკვეთრად გამოხატული სხვაობა; 11. კოქტეილის მოსამზადებელი ჭურჭელი; 12. ფულის ერთეული იაპონიაში; 14. ქართული ლუდი; 16. ერთგვაროვანი საგნების სისტემაში მოყვანილი კრებული; 17. ქართული ესტრადის მომღერალი ქალი; 19. ავსტრიელი ექიმი-ფსიქიატრი, ფსიქოანალიზის ფუძემდებელი; 21. ფინური ელექტროტექნიკური კომპანია.

თარაზულად: 5. ფილატელისტის ალბომი; 6. გაუთლელი ხის მორებით ნაგები სახლი სამეგრელოში; 7. ოთარ იოსელიანის მხატვრული ფილმი; 10. რკინიგზის ვაგზლის ბაქანი; 13. სახელმწიფო ჩრდილო ამერიკაში; 15. ბილიარდის თამაშის ერთ-ერთი სახეობა; 18. ფრანგი პოსტიმპრესიონისტი მხატვარი; 20. ზამბარიანი მოწყობილობა აკრობატული ხტომებისთვის; 22. უმაღლესი ფარმაცევტული განათლების მქონე ფარმაცევტი; 23. საქართველოში მოღვაწე გერმანელი არქიტექტორი, რესტავრირებული ქაშვეთის ეკლესიის პროექტის ავტორი; 24. ქართველი კინოვარსკვლავი ქალი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ინიესტა; 2. ხარატი; 3. კულინარია; 4. კრეიგი; 5. „ვალმარტი“; 7. რუხი; 11. სალიამი; 13. მატროსი; 15. ნიყვი; 16. გენუა; 18. რაგბი; 19. ტორტი.

თარაზულად: 6. ნუტრია; 8. „მამლუქი“; 9. კნეთელი; 10. სუფიქსი; 12. ხირსა; 14. ქიმერა; 17. ინტერნეტი; 20. სუარესი; 21. „გვრინი“; 22. ბისტრო; 23. გარდნერი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ბაკარა; 2. ბურნუთი; 3. პამპლონა; 4. სიმეტრია; 8. პერინიონი; 9. რაიხსტაგი; 11. ბენზემა; 12. ქორო; 14. კრკა; 16. პროგრამა; 17. მონბლანი; 19. კრიშნა; 21. რევიუ.

თარაზულად: 5. „კავასაკი“; 6. ბრაზილია; 7. ტარანტული; 10. ჰოპერი; 13. სტატია; 15. ფრიზერი; 18. კრეოლი; 20. არგონი; 22. „ჰაინიკენი“; 23. ემბრიონი; 24. დილიჟანი.

სამგლოვიარო განცხადებები

მეუღლე ეკა, შვილები მარიამი, მილანა, დედა გულნარა, სიძე ნუკრი, ძმები ანზორი, ემირი, ძმისშვილები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან

რამაზ მიროს ძე ცაავას

გარდაცვალებას.

გამოსვენება: კვირას, 10 ივნისს, 15 საათზე, მუხიანის მეფე მირიან და ნანა დედოფლის სახელობის ეკლესიიდან.

დათო (ბურთო) ხვედელიძის გახსენება

დაბადების დღეს გილოცავ, ჩვენო მუდამ მოღიმარო. 10 ივნისს 44 წლის გახდი, 1 წელი, 4 თვე და 10 დღეა, რაც უფალმა ინება შენი ჩვენთან განშორება. ჩვენო სულით ძლიერო, კეთილო, ჩვენი წარსულის სიხარული და მოგონება ხარ. ვინც კი გიცნობდა, ყველასთვის უღალატო კაცი იყავი, ყველაფერში ძლიერ კაცს, გულმა გიღალატა. შენი მეგობრების არმია ალამაზებს შენს საფლავს ყვავილებითა და ლამაზი სიტყვებით. შენს საფლავთან ყველა შენზე გულშემატკივარს აკვირვებს იანვარში (ყინვაში) წითლად აყვავებული ვარდები. ესეც ხომ შენს სილამაზესა და კაიკაცობას ნიშნავს. უფალი იყოს შენი სპეტაკი და ლამაზი სულის მფარველი!

შენი ნაადრევი წასვლით სიცოცხლეგამწარებული მშობლები – შაქრო და ნუნუ ხვედელიძეები, მეუღლე ლალი, შვილები მარიამი, ანდრია, და ნანა, სიძე დათო, დისშვილები გიორგი, ნიკოლოზ, მარიამ გელხაურები

ალექსანდრე (ალიკო) ჩხეიძის ხსოვნა

შავ ბილიკს ჰგავდა გზა, რომლითაც უფლის გზაზე თვალცრემლიანი მთელი სანათესაო და სამეგობრო მიგაცილებდა. ვაკის სასაფლაოზე საამური გაზაფხულია. ვარდის სურნელით გაჟღენთილია საფლავის მიწა. ეს სურნელი და ამდენი ცრემლი-გოდება ალბათ შენამდეც აღწევს. შენს სიცოცხლეში ამ გულებში სიყვარულის ძეგლი დაგიდგამს. ეს ის მადლიერებაა, რომელიც თითოეულ ჩვენგანში შენი ცხოვრებით დატოვე. ისევ ამოვა მზე, ისევ იჩხრიალებს ნაკადული, შენი სიცოცხლეც ამ გულებში კვლავ გაგრძელდება. ამქვეყნიდან წასვლა უფლის საიდუმლოა. ჩვენ ამას ვერ გავიგებთ, მაგრამ შენ მიერ განვლილმა გზამ დაგვანახა, თუ როგორ უნდა იცხოვროს ადამიანმა ამ წუთისოფელში, რომ ყოველისშემძლე სიკვდილის შემდეგაც განაგრძოს ყოფნა ჩვენ შორის – დიახ, სიყვარულია ის, რაც სიკვდილის მერეც ცოცხლობს და არ ფერმკრთალდება. ყველას უჭირდა შენთან დამშვიდობება და განშორება დაკრძალვისას. მეორედ მოგიბრუნდა უძვირფასესი და უსაყვარლესი მეუღლე ნანა, ვერ გიმეტებდა იქ დასატოვებლად.

მშვიდად განისვენე! გინთებთ სანთლებს და უფალს შევთხოვთ, ყოველთვის გინთებდეს ცათა სასუფეველს, ღვთიური მადლი ეფინოს შენს სამუდამო სამყოფელს ზეციურ საქართველოში.

თქვენი მოსიყვარულე ადამიანების სახელით,
სულიკო მურცხვალაძე

აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭო სამძიმარს უცხადებს უმაღლესი საბჭოს აპარატის შიდა აუდიტის სამსახურის უფროსს, ბატონ ანზორ გუნჯუას დის

ნანა გუნჯუას

გარდაცვალების გამო.

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

დემნა გვასალიამ რუსული პასპორტის ემბლემებით ჩექმები გამოუშვა

ბალენსიაგას ქართველი ხელმძღვანელი დემნა გვასალია მსოფლიო მოდის გაოცებას განაგრძობს. მას შემდეგ, რაც ბებიების დროინდელი მოდა დააბრუნა და საკუთარ კოლექციებს კოლოსალურ ფასებში ყიდის, დიზაინერმა მოდის მოყვარულებს ახალი ჩექმა შესთავაზა.

დემნა გვასალიას მიერ გამოშვებულ წითელ ჩექმებს, არც მეტი, არც ნაკლები, რუსული პასპორტის ემბლემები ამშვენებს.

ქართველებმა დიზაინერის სიახლე არაერთგვაროვნად მიიღეს. ნაწილმა დემნას გადაწყვეტილება მოიწონა, ნაწილმა კი ამაში რუსეთის პიარი დაინახა.

ასეა თუ ისე, დემნა გვასალიას ახალი ჩექმები უკვე აიტაცეს მსოფლიოში ცნობილმა და მოდის მოყვარულმა ადამიანებმა.

ბელა მირიანაშვილის 80 წლისადმი მიძღვნილ სპექტაკლში
კახი კავსაძე ითამაშებს

წელს ცნობილი მსახიობის ბელა მირიანაშვილის დაბადებიდან 80 წელი შესრულდა. ამ თარიღს მისმა შვილმა ირაკლი კავსაძემ სპექტაკლი მიუძღვნა, სადაც მთავარ როლს კახი კავსაძე თამაშობს.

ირაკლი კავსაძე ანტუან დე სენტ ეგზიუპერის ნაწარმოებს „პატარა უფლისწულს“ მოზარდ მაყურებელთა თეატრში დგამს. პრემიერა 9 ივნისს გაიმართება და ეს მოზარდ მაყურებელთა თეატრის საიუბილეო სეზონის ბოლო პრემიერა იქნება.

წარმოდგენის პირველი მოქმედება მთლიანად რეჟისორის მიერ დაწერილ, ორიგინალურ ტექსტზეა აწყობილი და მაყურებელს ეგზიუპერის ცხოვრების მნიშვნელოვან ეპიზოდებზე მოუთხრობს, მეორე მოქმედება კი პატარა უფლისწულის ამბავს ეთმობა.

ირაკლი კავსაძემ სპექტაკლი „ანტუანი და პატარა უფლისწული“ დედის, მსახიობ ბელა მირიანაშვილის ხსოვნას მიუძღვნა, რომელსაც წელს 80 წელი შეუსრულდებოდა. შემთხვევითი არ არის, რომ სპექტაკლში მოზარდ მაყურებელთა თეატრის ახალგაზრდა მსახიობებთან ერთად დიდი არტისტი კახი კავსაძე მონაწილეობს. იგი მთხრობელის როლს ასრულებს, რამდენიმე მნიშვნელოვან ეპიზოდში გვევლინება და მისი სახე წარმოდგენას ერთგვარ ლაიტმოტივად გასდევს.



სპექტაკლის დამდგმელი მხატვარი გიორგი ალექსი-მესხიშვილია, მხატვრის თანაშემწე – ნინო ჭყონია, ინსცენირების ავტორი – ანანო მირიანაშვილი, კომპოზიტორი – კონსტანტინე ლორთქიფანიძე. სპექტაკლში გამოყენებულია ირაკლი კავსაძის მუსიკალური კომპოზიციები. ქორეოგრაფი მურო გაგოშიძეა, ქორეოგრაფის თანაშემწე – ნიკა ნანიტაშვილი, ვიდეოპროექცია დავით მაჭავარიანს ეკუთვნის, მღერის ნატო ლეკვეიშვილი, რეჟისორი თანაშემწე კი ინგა კაჭახიძეა.

სპექტაკლში მონაწილეობენ კახი კავსაძე, ნინო ანდრიაძე, ნინო ლეჟავა, მარიამ ჩუხრუკიძე, თამარ ჭანუყვაძე, მაია ხორნაული, მარიამ ხუხუნაიშვილი, თეკლა ჯავახაძე, ნიკოლოზ ბოგვერაძე, ირაკლი დუმბაძე, საბა ილურიძე, ნიკოლოზ მიქელთაძე, ნიკა ნანიტაშვილი, ვახტანგ ნოზაძე, ნიკოლოზ ფაიქრიძე, გიორგი შავგულიძე, გივიკო ხახიძე, ნიკოლოზ ხვთისიაშვილი და გიორგი ჯიქურიძე.

ნაირა გელაშვილი დაჯილდოვეს

ქართულ-გერმანული კულტურული ურთიერთობების გაღრმავებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის გივი მარგველაშვილის სახელობის პრემიის 2018 წლის ლაურეატი მწერალი, გერმანისტი, გერმანული ლიტერატურის მკვლევარი და მთარგმნელი ნაირა გელაშვილი გახდა.

შემოქმედის საზეიმო დაჯილდოება გაიმართება როგორც გერმანიაში, ასევე თბილისში – 13 ოქტომბერს ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე ქართულ პავილიონში, ხოლო თბილისში წლის ბოლოს საქართველოს მწერალთა სახლში.

თბილისის გოეთეს ინსტიტუტი პარტნიორებთან ერთად უკვე მეექვსედ გასცემს გივი მარგველაშვილის სახელობის პრემიას. თუკი დღეს არსებობს ქართულად ბრწყინვალედ თარგმნილი რაინერ მარია რილკე, ფრიდრიჰ ჰიოლდერლინი, თომას მანი და კიდევ ბევრი სხვა გერმანულენოვანი ავტორი, ეს სწორედ ნაირა გელაშვილის დამსახურებაა. იგი მრავალი წლის განმავლობაში ასწავლიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გერმანული ლიტერატურის ისტორიას და თვითონვე თარგმნიდა ამ ლიტერატურის გამორჩეულ ნიმუშებს. სწორედ ნაირა გელაშვილის სახელს უკავშირდება გივი მარგველაშვილის ლიტერატურული ნაწარმოებების პირველი თარგმანი და გამოცემა ქართულ ენაზე. მან თარგმნა და ცალკე წიგნად გამოსცა მისი მინიატურები. ნაირა გელაშვილის ბრწყინვალე თარგმანები ყველაზე ადეკვატურად ასახავს გივი მარგველაშვილის ორიგინალური გერმანული ტექსტების ურთულეს ნიუანსებს.

ნაირა გელაშვილის ლიტერატურულ შემოქმედებაზე გერმანელ მკითხველს მკრთალად, მაგრამ მაინც შეუქმნის გარკვეულ წარმოდგენას ორი ნაწარმოები, რომელიც ბოლო ორი წლის განმავლობაში წიგნის ეროვნული ცენტრის ხელშეწყობაში წიგნის ეროვნული ცენტრის ხელშეწყობით ითარგმნა და გამოიცა გერმანულ ენაზე. ესენია მისი რომანი „მე ის ვარ“ და ვრცელი მოთხრობა „მივემგზავრები მადრიდს“.

ამიტომაც სიმბოლურია ნაირა გელაშვილის გივი მარგველაშვილის პრემიით დაჯილდოება 2018 წელს, მაშინ, როდესაც საქართველო ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე სტუმარი ქვეყნის სტატუსით წარდგება.

ჯემალ მაზიაშვილს „ხელოვნების ქურუმი“ მიანიჭეს

კულტურის მინისტრმა მიხეილ გიორგაძემ 80 წლის მსახიობ ჯემალ მაზიაშვილს ქართული კულტურის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის ჯილდო „ხელოვნების ქურუმი“ გადასცა.

ჯემალ მაზიაშვილი თეატრალური ინსტიტუტის დასრულების შემდეგ იყო მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი. მარჯანიშვილის თეატრიდან წასვლის შემდეგ იგი რუსთავის თეატრის ერთ-ერთი დამაარსებელია. მას მარჯანიშვილისა და რუსთავის თეატრის სცენებზე მრავალი დასამახსოვრებელი როლი აქვს შესრულებული. იგი რუსთავის თეატრის დირექტორიც იყო. უნგრეთიდან მოწვეული შემოქმედებითი ჯგუფის მიერ განხორციელებულ სპექტაკლში „ის ლამაზი, მზიანი დღე“ ჯემალ მაზიაშვილის მიერ ძულას როლის შესრულება უნგრეთის პრეზიდიუმის საპატიო სიგელით აღინიშნა. მოგვიანებით ჯემალ მაზიაშვილს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის წოდება მიანიჭეს. პრეზიდენტის გადაწყვეტილებით, მსახიობს ღირსების ორდენი მიანიჭეს, რუსთავის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის „ოქროს ნიღბის“ დაფუძნებისა და მაღალ დონეზე ჩატარებისთვის კი საქართველოს პრეზიდენტის საპატიო სიგელი გადასცეს.

ბერლინალეს „ოქროს დათვის“ მფლობელ ფილმს თბილისში უჩვენებენ

ბერლინალეს „ოქროს დათვის“ მფლობელ და ევროპული კინემატოგრაფიის გამარჯვებულ ფილმს, ფატიჰ აკინის გახმაურებულ კინოსურათს „კედლის პირისპირ“ თბილისში უჩვენებენ. კინოჩვენება 11 ივნისს ფაბრიკაში გაიმართება, რომელიც გერმანიის საელჩოსა და გოეთეს ინსტიტუტის ორგანიზებით „გერმანული ენის თვის“ ფარგლებში ჩატარდება.

ყოველწლიური პროექტი „გერმანული ენის თვე“ სლოგანით „სამი ქვეყანა ერთი ენა“ გერმანიის, ავსტრიისა და შვეიცარიის საელჩოების ორგანიზებით წელს მეექვსედ გაიმართება. „გერმანული ენის თვე“ თავისი შინაარსით ყველა იმ კულტურულ თუ საგანმანათლებლო ღონისძიებას მოიცავს, რომლებიც გერმანულ ენასა და გერმანულენოვან ქვეყნებს შეეხება.

ცნობილი კინორეჟისორი ფატიჰ აკინი თავის კინოდრამაში მოგვითხრობს ორი გერმანელი თურქის ისტორიას, რომლებიც გერმანულ და თურქულ კულტურებს შორის არსებულ დაძაბულობას თავს ვერ ართმევენ და სასოწარკვეთილებისაგან ერთმანეთს უკავშირებენ თავიანთ ბედს. ახალგაზრდა სიბელისა და ტრაგიკული ჯაჰიტის თავისუფალი ცხოვრებისაკენ სწრაფვა და სიკვდილის წყურვილი ერთმანეთს ხვდება. შეძლებენ თუ არა ახალგაზრდები ამ ურთიერთობით საკუთარი თავის გადარჩენას?

ორგანიზატორების გადაწყვეტილებით, კინოჩვენებაზე დასწრება ნებისმიერი მსურველისთვის თავისუფალია.

ოპერის თეატრში სიმონ ბოკანეგრას პრემიერა გაიმართება

თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი 166-ე სეზონს პრემიერით დახურავს.

13 ივნისს ოპერის მოყვარული მსმენელი ჯუზეპე ვერდის სიმონ ბოკანეგრას მოისმენს. ეს არის ოპერა პროლოგითა და სამი მოქმედებით, რომლის ლიბრეტოს ავტორები არიან ფრანჩესკო მარია პიავე და არიგო ბოიტო.

ოპერაში სიმონ ბოკანეგრას სულხან გველესიანი იმღერებს. მასთან ერთად სპექტაკლში მონაწილეობენ ლეგი იმედაშვილი, თინათინ მამულაშვილი, გიორგი მელაძე, ოთარ ნაკაშიძე, გია ასათიანი, ფილიპე ღაჭავა, იამზე ურუმაშვილი, თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის გუნდი და ორკესტრი, მთავარი ქორმაისტერი – ავთანდილ ჩხენკელი, ქორმაისტერი – შალვა შაორშაძე.

ოპერის დამდგმელი და მთავარი დირიჟორია ზაზა აზმაიფარაშვილი, დამდგმელი რეჟისორი – ალფონსო სინიორინი, კოსტიუმების მხატვარი კი – ესტერ მარტინი.

მომღერლები ქველმოქმედებისთვის იმღერებენ

ღელა წურწუმია, გრიგოლ ყიფშიძე, მერაბ სეფაშვილი, ანი ღლონტი, საბა კემულარია, ანი კეკუა, მაგდა ნიკოლეიშვილი, ანსამბლები „ალილო“ „შვიდკაცა“, „ჰერიო“, კვარტეტი „მუხამბაზი“ და პროექტ „მხოლოდ ქართულის“ მონაწილეები საქველმოქმედო კონცერტში მიიღებენ მონაწილეობას.

12 ივნისს ზაზანოვაში გამართული საქველმოქმედო კონცერტიდან შემოსული თანხა მთლიანად პატარა სანდრო მეგრელიშვილის დასახმარებლად გადაირიცხება, რომელსაც ჯანმრთელობის პრობლემები აქვს.

თბილისში კავკაზ ჯაზ ფესტივალი ჩატარდება

თბილისში უკვე მეცხრედ ჩატარდება კავკაზ ჯაზ ფესტივალი, რომლის მთავარი მიზანია, ხელი შეუწყოს სამხრეთ კავკასიაში ჯაზის განვითარებას, შემსრულებლების კულტურულ დიალოგსა და მათ მეგობრულ დაახლოებას, რაც მათ შემდგომ თანამშრომლობასაც გულისხმობს.

ერთ სცენაზე მსმენელების წინაშე წარდგებიან შემსრულებლები აზერბაიჯანიდან, თურქეთიდან, საქართველოდან და სომხეთიდან. წლევანდელი კავკაზ ჯაზ ფესტივალის მონაწილეა პიანისტი და კომპოზიტორი სალმან გამბაროვი აზერბაიჯანიდან, რომელსაც ცნობილ ფესტივალებში აქვს მონაწილეობა მიღებული.

თურქეთიდან ჩამოსულმა ხელოვანებმა კი შექმნეს პროექტი, რომელიც შექმნილია სპეციალურად კავკაზ ჯაზ ფესტივალისთვის. მათ მიერ შესრულებული მუსიკა ტრადიციული და თანამედროვე, აღმოსავლეთისა და დასავლეთის მუსიკის შერწყმაა.

საქართველოდან ფესტივალში მონაწილეობას მიიღებს ჯორჯ მელ იგივე გიორგი მელიქიშვილი, რომელიც დრამერი, პერკუსიონისტი, კომპოზიტორი და არანჟირებების ავტორია. ამერიკაში მოღვაწე ქართველმა მუსიკოსმა ბერკლის კოლეჯი დაამთავრა და გამოჩენილი არტისტების მრავალი პროექტის მონაწილე და საავტორო პროექტების ლიდერია.

სომხეთიდან ფესტივალზე ჩამოვა საქსოფონისტი, კომპოზიტორი და დირიჟორი არმენ უსნუნცი, რომელიც ორი წლის განმავლობაში ერევნის სახელმწიფო კონსერვატორიის მიწვეული პროფესორი იყო.

კავკაზ ჯაზ ფესტივალი 2010 წლიდან ტარდება. ამ დროის განმავლობაში ფესტივალში მონაწილეობა მიიღო 100-ზე მეტმა მუსიკოსმა 11 ქვეყნიდან. პროექტის ორგანიზატორია არტ ბრიჯი. ფესტივალზე დასწრება თავისუფალია.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

9 ივნისისთვის

- აშშ დოლარი — 2.4506
- ევრო — 2.8978
- ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.2958
- 100 რუსული რუბლი — 3.9527

ამინდის პროგნოზი 9 ივნისისთვის

სერია თანამედროვე რუსული ბესტსელერი

18 მაისიდან ვიქტორ სუვოროვი **აკვარიუმი**

ეს წიგნი რუსული გრუ-ს საიდუმლო საქმიანობის შესახებ მოგვითხრობს.

ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი

25 მაისიდან

დინა რუბინა

პეტრუშკას სინდრომი

„პეტრუშკას სინდრომი“ დინა რუბინას ყველაზე დრამატული რომანია. მისი ყოველი ახალი რომანი ბესტსელერია და გამოცემისთანავე ათეულობით ენაზე ითარგმნება.

ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი

1 ივნისიდან

ვიქტორ პელევინი

სამი ცუკერბრინის სიყვარული

ფეისბუქი, გუგლი, უკრაინა, მომხმარებლის კულტი, ტოლერანტობა, ტერორიზმი, იმ ტრენდებს შორისაა, რასაც წიგნი ეხება.

ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი

8 ივნისიდან

ევგენი ვოდოლაზკინი **ლავროსი**

სნეულთა განკურნების განსაცვიფრებელი უნარით დაჯილდოებული არსენი სიკვდილისგან ვერ იხსნის საყვარელ ქალს. სწორედ ეს იქცევა მისი ცხოვრების გარდამტეხ მომენტად.

ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი

BOAI

ბოაი

ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

საუკეთესო ეფექტი მოკლე პერიოდში

- გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, კუჭ-ნაწლავის ტრაქტი, ღვიძლი, სასუნთქი სისტემა
- ნერვულისისტემა, ხერხემალი, სახსრები
- კანის დაავადებები
- უროლოგია
- გინეკოლოგია

მისამართი -ქ. თბილისი, დ.ყიფიანის ქ. 2
ტელეფონი - 2 47 91 12
10:00 – 19:00 სთ. შაბათ -კვირის ჩათვლით

სერია ნამდვილი დეტექტივი

22 მაისიდან ნაიო მარში **კაცი იწვა მკვდარი**

დეტექტივი როდერიკ ალეინი ინგლისის ერთ-ერთ რესპექტაბელურ სახლში „მკვლელობანას“ თამაშის დროს მომხდარ ნამდვილ მკვლელობას იძიებს. მსხვერპლი მონღოლური წარმოშობის რუსული სარიტუალო ხანჯლით არის მოკლული.

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

29 მაისიდან

ანდრეა კამილერი **წყლის ფორმა**



ზღვისპირა იტალიური ქალაქის უმდიდრესი ადამიანი და არაფორმალური მმართველი პიკანტურ ვითარებაში იღუპება. ყველა დაინტერესებულია ამ საქმით, რომის პაპით დაწყებული, პროვინციელი მოსამართლით დასრულებული.

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

5 ივნისიდან

გილბერტ ჩესტერტონი

მამა ბრაუნის სკანდალური ამბავი

მამა ბრაუნი ჩია, პროვინციელი კათოლიკე მღვდელია, არც რამე სისტემა გააჩნია ჩახლართული დანაშაულების გასახსნელად. ბოროტმოქმედების მხილება მისი ჰობია, რაც ძალიან კარგად გამოსდის.

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

12 ივნისიდან

როს მაკდონალდი შიში



ოთხმაგი მკვლელობა. ოთხი გარდაცვლილი. პირველ მსხვერპლს დანარჩენებისგან წლები აშორებს, მაგრამ მკვლელობა ერთი პიროვნების ხელით ხდება. მკვლელის ვინაობას, რამდენიც უნდა ეცადოთ, ვერ გამოთვლით, მხოლოდ ბოლო გვერდზე ამოიკითხავთ და გაოცდებით.

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

პელემ ბრაზილიის ნაკრები გააკრიტიკა

ლეგენდარულმა ბრაზილიელმა ფეხბურთელმა პელემ ბრაზილიის ნაკრები გააკრიტიკა და თქვა, რომ მას გუნდურობა აკლიათ. პელეს აზრით, მხოლოდ ნეიმარი არ არის საკმარისი, რომ მსოფლიოს ჩემპიონატი მოიგო:

– ჩვენ ინდივიდუალურად ძალიან ძლიერი ფეხბურთელები გვყავს, განსაკუთრებით ეს ნეიმარს ეხება, მაგრამ გუნდური თამაში უნდა გამოვასწოროთ. მხოლოდ ნეიმარი მსოფლიო ჩემპიონატს ვერ მოიგებს, რადგან მას სხვებიც უნდა დაეხმარონ.

პელეს ასეთი განცხადება ცოტათი უცნაურია, რადგან ბოლო პერიოდში ბრაზილიის ნაკრები მუდმივად იგებს თამაშებს.

დავიდე ასტორის სიკვდილის მიზეზი ცნობილი გახდა

ფიორენტინას ფეხბურთელი დავიდე ასტორი ტაქიკარდიული შეტევის გამო გარდაიცვალა. ეს მას შემდეგ გაირკვა, რაც ექსპერტიზის პასუხი გახდა ცნობილი.

შეგახსენებთ, რომ ასტორი უდინეში, 4 მარტს ერთ-ერთ სასტუმროში გარდაცვლილი იპოვეს, რის შემდეგაც იმ ტურის ყველა შეხვედრა გადაიდო.

აღმოჩნდა, ასტორისთან ერთად ვინმე რომ ყოფილიყო ოთახში, მისი გადარჩენა შესაძლებელი იქნებოდა.

ასტორის გარდაცვალებამ ფიორენტინაზე დიდი გავლენა მოახდინა და ყველა ფეხბურთელმა აღიარა, რომ ასტორის გარეშე მათთვის ძალიან რთული იყო მოედანზე გამოსვლა.

ფეკირი თითქმის ოფიციალურად ლივერპულის ფეხბურთელია

ნაბილ ფეკირი თითქმის უკვე ლივერპულის ფეხბურთელია და ტრანსფერის ოფიციალურად დასრულებამდე მხოლოდ მცირე დეტალებია დარჩენილი.

ეს ტრანსფერი ლივერპულს 72 მილიონი გირვანქა სტერლინგი დაუჯდება, ფეკირი კი გუნდთან 4-წლიან კონტრაქტს მოაწერს ხელს.

ფეკირი გასულ სეზონში ლიონის ერთ-ერთი ლიდერი იყო და მისი ყიდვა ბევრ კლუბს სურდა, თუმცა ლივერპულმა ყველას აჯობა.

ჰარი კეინი ტოტენჰემიდან არ მიდის



ჰარი კეინი ტოტენჰემიდან წასვლას არ აპირებს და მან გუნდთან ახალი კონტრაქტი გააფორმა, რომლის მიხედვითაც ის ტოტენჰემის ღირსებას 2024 წლის ჩათვლით დაიცავს. კეინის ყიდვა საკმაოდ ბევრ კლუბს სურდა, მაგრამ, როგორც ჩანს, კეინი ტოტენჰემის ერთგულია.

ერთ-ერთ ინტერვიუში ტოტენჰემის ფორვარდმა განაცხადა, რომ მისი მიზანი ტოტენჰემთან ერთად პრემიერ ლიგის მოგებაა და ამ მიზნის ასრულებისთვის ის ძალებს არ დაიშურებს.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

იუმორი

ხანშიშესული მაკაცი სახლში ბრუნდება და ხედავს, უცნობი გოგონა მის ნივთებში იქექება. კაცმა ტელეფონი აიღო პოლიციაში დასარეკად, მაგრამ გოგონა ემუდარება:

– ოღონდ პოლიციაში არ დარეკოთ, არ დამღუპოთ და, რასაც მეტყვით, ყველაფერს გავაკეთებ.

– ყველაფერს?

– დიახ, აი, ნახავთ, არ ინანებთ! ისეთი რაღაეები მეხერხება...

გოგონამ ტანსაცმელი გაიძრო. კაცმა ის საწოლ ოთახში გაიყვანა. გადის ნახევარი საათი და ისმის მამაკაცის ხმა:

– რა გაეწყობა, როგორც ჩანს, მაინც მომიწევს პოლიციაში დარეკვა...

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– რატომაა ამხელა რიგები თვალის ექიმებთან?

– გუშინ ტელევიზორში ჩვენი მთავრობის მეთაურმა განაცხადა, რომ ჩვენი მოსახლეობის კეთილდღეობა თვალნათლივ იზრდება.

●●●

ორი ძაღლი ხვდება ერთმანეთს, ერთი მთლიანად დაბინტულია. მეორე ეკითხება:

– რა დაგემართა?

– პატრონმა მცემა.

– რისთვის?

– ვუკბინე.

– კი მაგრამ, რატომ?

– დათვრა და ჩემი მედლები მკერდზე ჩამოიკიდა...

●●●

ორი ხანდაზმული ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

– გახსოვს ჩვენი ახალგაზრდობა, აფსუს, რა დრო იყო.

– აბა რა, განა ახლა აუხსნი ჩვენ შვილიშვილებს, როგორ ვრთავდით ტელევიზორის არხებს „პლასკაგუბცით“?

●●●

ბარმენი კლიენტს მიმართავს:

– ჭიქა ცარიელი გაქვთ, მეორეს ხომ არ ინებებთ?

– ორი ცარიელი ჭიქა რა ჯანდაბად მინდა?

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯოსვოიდი ა

შვეულად: 1. ფერადი მინის წარმოებაში გამოყენებული მეტალი; 2. სამონასტრო კომპლექსი ახალციხის რაიონში; 3. უანგარო ზრუნვა სხვისი კეთილდღეობისათვის; 4. მაფიის სახელწოდება იტალიაში; 5. სათავგადასავლო კინოს ერთ-ერთი ჟანრი; 7. კურორტი ბორჯომის ხეობაში; 11. იძულების, ზემოქმედების ზომა კანონის დარღვევისათვის; 13. ევრაზიის კონტინენტზე მდებარე სახელმწიფო; 15. ხილი, ნიუ იორკის სიმბოლო; 16. სატყორცნი იარაღი მძლეოსნობაში; 18. იგავ-არაკთა მამამთავარი; 19. ყოველდღიური გაზეთი თურქეთში.

თარაზულად: 6. მოწონების, აღტაცების კოლექტიური გამოხატვა მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით; 8. რუსეთში მოღვაწე ქართველი კინორეჟისორი; 9. ბუნებაში საორიენტაციო ხელსაწყო; 10. ციმბირში გავრცელებული წიწვოვანი ხე, რომელიც არ ლპება; 12. გერმანელი ფილოსოფოსი; 14. კომპიუტერული თაღლითი; 17. ხილის წვენების პიურესაგან მომზადებული ტკბილეული; 20. კაპიტნის თანაშემწე, უმცროსი მეთაური გემზე; 21. აეროპორტი კაიროში; 22. სადაზღვევო მოწმობა; 23. სერბი ჩოგბურთელი მამაკაცი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა